ეროვნული თავისუფლების გზით — პერიოდული თავისუფლებისაკენ!
პერიოდული თავისუფლების გზით — ეროვნული თავისუფლებისაკენ!

საქართველო

ეროვნული თავისუფლებისა

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი
გამოდიოდა 1905-1905, 1915-1921 წ.წ. აღდგენილია 1989 წელს.

№39 (1477) 26.VIII-2.IX, 1996 წელი

ულანაშაულო მამა, ულანაშაულო შვილი!

კასუხად თენგიზ კიტოვანს

ჩუმად! ნუ გაანგიძებთ კიტოვანს!

მესამე გვერდი

მოქალაქეთა კავშირი ცრუობს

მეორე გვერდი

ომის ქვეყანა

მეშვიდე გვერდი

ცუცა კიტოვანი:

მე სიბერეში მოვიწია ამის დაწერა

მესამე გვერდი

16 ჩაკლული ღიმილი

სკოლა • მოზაღვების ნუსხილი
შეგხვდა • რატომ?

მეექვსე გვერდი

ჩეჩნეთიდან წასვლაა საჭირო

აგვისტოში რუსეთის არმიის განადგურებამ გროზნოში კიდევ ერთხელ დამტკიცა ის, რომ ჩეჩნეთის პრობლემა ომით არ გადაიჭრება. ძალების სიჯარბით არ შეიძლება იმ ომის მოგება, რომელიც მოწინააღმდეგისათვის სახალხოა, თავდაცვითი და აქედან გამომდინარე — სამართლიანი. შეუძლებელია გამარჯვება მოიპოვო ხალხზე, რომელიც საკუთარ მიწას, საკუთარ კერას იცავს. ასეთი ხალხი მხოლოდ ფიზიკურად შეიძლება განადგურო, ისე, რომ ჩვილი ბავშვიც კი არ დარჩეს ცოცხალი, რადგან, როდესაც იგი გაიზრდება, დაუნდობელ შურისმაძიებლად იქცევა. თუკი ის ქვეყანა, რომელიც აწარმოებს თავდასხმას, არ არის მზად იმისათვის, რომ საუკუნოდ ატაროს მკვლელის დაღი, მაშინ იგი უნდა შეეგუოს აზრს, რომ დამარცხდა. უფრო მეტიც, ღმერთს მადლობა უნდა შესწიროს იმისათვის, რომ იხსნა იგი ახალი ცოდვისაგან.

ასეთია ამოსავალი წერტილი, საიდანაც შეიძლება გადაიდგას პრაქტიკული ნაბიჯები. თუ ჩეჩნეთში ჯარების შეყვანამდე პრობლემა სხვადასხვაგვარად შეიძლებოდა გადაწყვეტილიყო, ახლა, როცა ორივე მხრიდან ამდენი სისხლი დაიღვარა, თვითონ ომმა შეამცირა პრობლემის გადაჭრის მრავალფეროვნება და დაიყვანა იგი ერთადერთამდე — დაუყოვნებლივი და მთლიანი გამოყვანა ჯარებისა, ჩეჩენ ხალხს მიეცეს უფლება თავად გადაწყვიტოს საკუთარი ბედი, თუ საჭიროა გამოეყოს კიდეც რუსეთის ფედერაციას. მხოლოდ ამის შემდეგაა შესაძლებელი აღდგეს კეთილმეზობლური ურთიერთობა რუსეთსა და ჩეჩენ ხალხს შორის. მხოლოდ ამაშია საძირკველი შემდგომი სერიოზული მოლაპარაკებისა. საბოლოოდ უნდა აიღოს რუსეთმა ხელი სამშვიდობო ჯარებისა და საომარი მოქმედებების „კომბინირებაზე“, მხოლოდ ამ საფუძველზეა შესაძლებელი რუსეთ-ჩეჩნეთს შორის უამრავი კონკრეტული საკითხის გადაწყვეტა; ჩეჩნეთიდან რუსეთის ტერიტორიაზე იარაღის გაუვრცელებლობა, ნაციონალური უმცირესობების დაცვა, მოქალაქეობის საკითხი, ეკონომიური კავშირები, სატრანსპორტო კომუნიკაციების უშიშროება და სხვა მრავალი.

შესძლებს თუ არა რუსეთის ხელმძღვანელობა აითვისოს გროზნოს გაკვეთილი? ხელისუფლების პირველი რეაქცია არ ყოფილა იმედისმომცემი. თითქოსდა არაფერი, ისე საუბრობდა ყოველივე ამის შემდეგ ჩერნომირდინი „რუსეთის ტერიტორიულ მთლიანობაზე“, ელცინი კი იმაზე, რომ „პროვოკაცია, ბანდიტების ტერორისტული გამოხდომა მიიღებდა დამსახურებულ პასუხს“...

ახალი იმედები ჩასახა გენერალ ლებედისა და ასლან მასხადოვის შეხვედრამ, რომელმაც დაამტკიცა ჩეჩნების მზადყოფნა კონსტრუქციული დიალოგისათვის მოსკოვთან, მაგრამ როგორც კი ლებედი მოსკოვში ჩავიდა, ამუშავდა „მძლავრი მუხრუჭები“ და პრეზიდენტის შეპირებულმა „განკარგულებამ“, მისივე საინფორმაციო სააგენტოს ინფორმაციის თანახმად, მიიღო თითქმის მოსალოდნელის საწინააღმდეგო ფორმა. არც ერთი სიტყვა ჯარების გამოყვანის შესახებ, არც ერთი სიტყვა ჩეჩნეთის პრობლემისადმი ახლებური მიდგომის შესახებ, არც ერთი სიტყვა ცეცხლის შეწყვეტის შესახებ, არც ერთი სიტყვა იანდარბიევთან მოლაპარაკებათა განახლების შესახებ. ლებედის უფლებამოსილება, როგორც პრეზიდენტის წარმომადგენლისა ჩეჩნეთში, თითქოს გაფართოვდა, მაგრამ ეს მოხდა უმკაცრეს ჩარჩოებში. ამ ადამიანთათვის უფრო იოლია დროდადრო ნაციონალური გლოვის გამოცხადება, ვიდრე აზრის შეცვლა.

განა მარტო ამაშია საქმე? სად არის „იაბლოკოს“ ფრაქციის და „არჩევნები რუსეთში“ ომისსაწინააღმდეგო პოზიცია?

სერგეი კოვალიოვის წასვლასთან ერთად ამ პოზიციისაგან არაფერი დარჩა, სიტყვების გროვის გარდა. რუსეთის ხელისუფლების მთელი სისტემა პოლიტიკურად ერთგვაროვანია. საკმარისია გავიხსენოთ ათი აგვისტო: გროზნოს დრამის დროს სახელმწიფო დუმა ხმათა უმრავლესობით ირჩევს პრემიერ-მინისტრს.

რუსეთში ჯერჯერობით არ არის ძლიერი ომის საწინააღმდეგო მოძრაობა, ისეთივე მყარი და გარკვეული თავის მოთხოვნებში, ისეთივე უკომპრომისო მთავრობისადმი, როგორც ეს იყო 60-იანი წლების ამერიკაში, ვიეტნამის ომის დროს. სანამ ეს ასე არ იქნება, სისხლიანი ხოცვა-ჟლეტა ჩეჩნეთში გაგრძელდება და არც დასრულდება.

იური ბურტინი

„ნოვაია გაზეტა“ №30, 1996.

ეუთოს რეკომენდაციები ანტიქართულია

განცხადება

საქართველოს პარლამენტის სხდომათა მოახლოებულ განახლებასთან დაკავშირებით ახლოვდება საქართველოს წინააღმდეგ დღეს არსებული ერთ-ერთი ყველაზე სახიფათო შეთქმულების — საქართველოში კიდევ ერთხელ, 1922 წლის მსგავსად, „ოსეთის“ შექმნის — რეალიზაციის საფრთხე. პრეზიდენტ შევარდნაძის ა.წ. 11 აგვისტოს განცხადება, რომელშიც ნათქვამია, რომ „საქართველოს ხელისუფლებამ სხვადასხვა დროს, სხვადასხვა ეტაპზე საბედისწერო შეცდომები დაუშვა“ აფხაზებთან, ოსებთან და სხვებთან ურთიერთობაში, და რომ „სხვათა შორის, ყველაზე მეტად ეს თვით საქართველოს ბედს ეხება. ბევრი რამ, რაც გვჭირს, ჩვენივე ბრალია“, თუ ამ განცხადებას განვიხილავთ მიმდინარე პოლიტიკური კურსის კონტექსტში, მოწმობს, რომ შევარდნაძის პოლიტიკა კვლავაც ე.წ. „პროლეტარული ინტერნაციონალიზმის“, ანუ ქართველი ერისა და ქართული სახელმწიფოს ხარჯზე ყველა მსურველის ყველა პრეტენზიის დაკმაყოფილების პოლიტიკად რჩება, ყველაზე უსამართლო და ყველაზე უკანონო, ანუ საერთაშორისოდ მიღებულ ნორმათაგან ყველაზე უფრო განსხვავებული პრეტენზიების ჩათვლით. საქართველოს თავს დამდგარ ზემოხსენებულ სასიკვდილო საფრთხის შექმნაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს ეუთო-ს რეკომენდაციებიც ქართულ-ოსური კონფლიქტის მოგვარების შესახებ, რომლებიც თავისი შინაარსით ცალსახად ანტიქართულია. ამ პირობებში მინდა განვაცხადო შემდეგი:

I. ორი „ოსეთის“ შექმნა ნიშნავს მათი გაერთიანების ანუ საქართველოსაგან მისი კუთვნილი მიწის წართმევის ამოცანის დაყენებას არა მხოლოდ ოსი ერის წინაშე, არამედ კაცობრიობის წინაშეც, ვინაიდან ორად გაყოფილი ერთი და იმავე სახელის მატარებელი ქვეყნების გაერთიანების ამოცანა მსოფლიო პოლიტიკის ერთ-ერთ ამოცანად იგულისხმება და რიგ შემთხვევაში უკვე გადაჭრილია კიდეც.

II. როგორც გაზ. „საქართველოს“ სპეციალურ გამოშვებაში დაბეჭდილი დოკუმენტი №11 მოწმობს, ქართულ-ოსური კონფლიქტის მოგვარებისათვის ეუთოს მოწვევის იდეა პირველად გამოთქმულია რუსეთის მიერ, რომელიც, როგორც ცნობილია, ამ კონფლიქტის ძირითადი ორგანიზატორია.

III. იმ ძალებში, რომლებიც ოსური სეპარატიზმის უკან დგანან, გარდა რუსეთისა, საგულისხმებელია, როგორც ერთ-ერთი შესაძლებელი, საერთაშორისო ნარკომაფიაც, რომელსაც მდინარეების ქსნის, ლიახვის, ლეხურასა და ფრონეს ზედაწელები, საიდანაც, შეთქმულების წარმატების შემთხვევაში, ფაქტობრივად მოცილებული იქნება საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების კონტროლი, ნარკოტიკულ ნივთიერებათა შემცველი მცენარეების გასაშენებელ სივრცედ ესახება, მომმბარებელთან უფრო ახლომდებარედ, ვიდრე ცენტრალური და აღმოსავლეთი აზიაა.

IV. იმ შემთხვევისათვის, თუ პარლამენტის მიერ მიღებული იქნება დანაშაულებრივი დადგენილება საქართველოში კვლავ „ოსეთის“ შექმნის და, მაშასადამე, გარდუვალ მომავალში, საქართველოს მიერ ტერიტორიის დაკარგვის შესახებ, საქართველოს იურიდიული თავდაცვა, ხსენებული დანაშაულებრივი დადგენილების გბათილების სახით, შეიძლება და უნდა დაემყაროს შემდეგ წანამძღვრებს:

ა) საქართველოს დღევანდელი პარლამენტი, მისი არჩევის ისტორიის მიხედვით, არასაკმარისად ლეგიტიმიურია (მისი შემადგენლობა ასახავს მხოლოდ მოსახლეობის 38 პროცენტის აზრს, ისიც — გადამწყვეტი მასშტაბის ფალსიფიკაციით);

ბ) საქართველოს პრეზიდენტის პოლიტიკის ზოგადი დანაშაულებრივი ხასიათი მისი მმართველობის მთელი დღევანდელი პერიოდის მანძილზე (გაგრისა და სოხუმის დაცემის გამოუძიებლობა, სოხუმში 1993 წლის აგვისტოში მოსახლეობის შეყვანა და არგამოყვანა, სოხუმიდან ამავე დროს მძიმე ტექნიკის გამოყვანა, რუსების ჩაყენება ენგურზე, მანამდე კი — ცხინვალის ზონაში, შინაგან კონფლიქტში უცხო ჯარის გამოყენება, საქართველოს ეკონომიკური ნგრევისაკენ მიმართული რიგი კონკრეტული ნაბიჯები და სხვა ეპიზოდები) საფუძველია მტკიცებისათვის, რომ ეს პოლიტიკა გარედან, საქართველოსადმი არაკეთილგანწყობილი სახელმწიფოსაგან მართული და ამ უკანასკნელის ინტერესთა დაცვისაკენ მიმართული პოლიტიკაა, ანუ თავისი მიზანდასახულობით საქართველოს საწინააღმდეგო პოლიტიკაა, რის გამოც საქართველოს სახელმწიფო მის შედეგებზე მთელი სისრულით პასუხისმგებელი ვერ იქნება.

ნოდარ ნათაძე

14 აგვისტო, 1996

მოქალაქეთა კავშირი ცრუობს

14.VIII.1996წ. პრესკონფერენციაზე ვთქვი, რომ „შევარდნაძის პოლიტიკა პირდაპირ, შუბლში მიმართულია საქართველოს წინააღმდეგ“, რაზედაც სავსებით პასუხისმგებელი ვარ. მოქალაქეთა კავშირმა ირეაგირა სიცრუით, თითქოს ეს განცხადება გამოწვეული იყოს პრეზიდენტის „უკანასკნელი სამშვიდობო ინიციატივებით“, — კერძოდ, „მისი ინიციატივით „მშვიდობიანი [illegible]“. ჩემი განცხადება ეხება შევარდნაძის გეგმას საქართველოში კიდევ ერთხელ „ოსეთის“ შექმნის შესახებ, რაც მე — ვიმეორებ — საქართველოს პირდაპირ ღალატად მიმაჩნია. ჩემს განცხადებაში დასახელებულია შევარდნაძისა და მისი გუნდის პოლიტიკის სხვა ეპიზოდებიც ამ ბოლო ოთხი წლის მანძილზე, რომელსაც მე **დანაშაულებრივად** ვთვლი. მაგრამ კავკასიური ინიციატივა მათ შორის არ არის. ჩემი განცხადების სრული ტექსტი იხილეთ გაზ. „საქართველოს“ ამ ნომერში.

ეუთოს წინადადებათა **ამომწურავი** კრიტიკა დაბეჭდილია გაზ. „საქართველოს“ სპეციალურ გამოშვებაში (ივლისი, 1996) ქართულ და ინგლისურ ენებზე. იგი ეუთოს მისიას საქართველოში გადაცემული აქვს წელიწადზე მეტი ხნის წინ, აგრეთვე ეუთოს ცენტრს, მაგრამ კონტრარგუმენტი არ არის და ვერც იქნება ეუთოს პოზიციის სრული უსაფუძვლობის გამო.

რაც შეეხება მოქალაქეთა კავშირის განცხადებას, რომ მე „ვერ გამიცნობიერებია“, „თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს ამ **უპრეცედენტო** ინიციატივას“ (ლაპარაკია შევარდნაძის ზემოხსენებულ კავკასიურ ინიციატივაზე), იგიც ტყუილია. პოლიტიკის ორიენტაცია ზოგადკავკასიურ ამოცანებზე საქართველოში ჯერ კიდევ დავით აღმაშენებლიდან მოდის, ზ.გამსახურდიას მმართველობის წელიწადნახევარში კი იგი საქართველოს პოლიტიკის ერთ-ერთი **აქცენტირებული** კომპონენტი გახლდათ. შევარდნაძის პოლიტიკას ამ მიმართულებით მე ამ კურსის, ძალიან რბილად რომ ვთქვათ, შერყვნილ ვარიანტად ვთვლი — ჯერ ერთი, იმიტომ, რომ იგი რაღაც ანალოგიას უშვებს ქართულ-აფხაზურ და რუსულ-ჩეჩნურ ურთიერთობებს შორის, მეორეც, იმიტომ, რომ იგი რუსულ-ჩეჩნურ ომს აფასებს მხოლოდ როგორც ტრაგედიას, მაგრამ არა როგორც **დანაშაულს** ერთი მხრიდან.

ძველკომუნისტური ეპითეტის „პროვოკაციული“ და ნეოკომუნისტური ეპითეტის „პოპულისტური“ შეთავსება მოქალაქეთა კავშირის განცხადებაში ბუნებრივად მიმაჩნია, ვინაიდან კომუნიზმის დღევანდელ მარაზმატულ კონდიციაში, რომლის მოწმენიც ვართ, ძველი და ახალი ტენდენციების უაღრესად ჰარმონიულ ურთიერთშერწყმას ვხედავ.

უფრო ვრცელ კომენტარს შენიშვნაში აღძრულ თემებზე აგრეთვე ვბეჭდავ გაზ. „საქართველოს“ წინამდებარე ნომერში (ჩემთვის უცხო გაზეთებს, რომელთაც „მოქალაქეთა კავშირის“ განცხადება დაბეჭდეს, ამ მასალით ვერ გადავტვირთავ). უახლოეს დღეებში ვფიქრობ დისკუსიის მოწყობას ცხინვალის თემაზე, სადაც პრეზიდენტ შევარდნაძესა და ეუთოს მოვიწვევ. თუ მოქალაქეთა კავშირს სურს, შეუძლია ჩვენსა და ჩვენი ქვეყნის ოპონენტებს ამ საკითხში ზედ დაემატოს. დისკუსია ღია იქნება.

ნოდარ ნათაძე

კომენტარი

ეს, რაც ზემოთაა ნათქვამი, კომენტარს საჭიროებს რამდენიმე მხრივ. ეუთოს რეკომენდაცია, საქართველოში კვლავ ოსეთი შექმენითო, ემყარება მხოლოდ შემდეგ „საბუთებს“:

პირველი: ოსებიც და მსოფლიოც შეეჩვიენენ 68 წლის მანძილზე, რომ ეს ადგილი ოსეთია, და ნულარ გადავაჩვევთო. **მეორე:** ოსებთან ქართველები დამნაშავეები ხართ და უნდა დაუთმოთო. **მესამე:** ჩვენს პრაქტიკაში ყურადღება ექცევა ფაქტებს და არა მათი წარმოშობის ისტორიას, ფაქტი კი ისაა, რომ დღეს ამ მიდამოში ოსები უმრავლესობა არიან. **მეოთხე:** თუ არ დაუთმობთ, ისე მშვიდობას ვერ მიაღწევთო (ეს უკვე ულტიმატუმი გახლავთ). თუ სახელმწიფოს მეთაურს ქვეყნის დაცვა **უნდა**, მას შეუძლია ეს „არგუმენტაცია“ ერთადერთი ფრაზით მოიგერიოს: „ჯერ დავადგინოთ ზოგადი (ანუ მთელი კაცობრიობისთვის სავალდებულო) ნორმები (მაგალითად შემდეგი: რამდენ პროცენტს უნდა მიაღწიოს ახალმა მოსახლეობამ რომელიმე რაიონში, რომ ტერიტორიას მისი სახელი დაერქვას? რამდენ ხანს უნდა იარსებოს უკანონო ტერიტორიულმა ავტონომიამ, რომ კანონიერი გახდეს? რომელი „დანაშაული“ ეროვნული უმცირესობის მიმართ მისი პოლიტიკური სტატუსის რომელი გადიდებით კომპენსირდება? და ა.შ.), ხოლო შემდეგ მივუყენოთ ეს ზოგადი ნორმები ჩვენს ქვეყანას. არც ერთი საერთაშორისოდ აღიარებული ნორმა არ მოითხოვს ეროვნულ უმცირესობათათვის ტერიტორიული ავტონომიის შექმნას. მაშ რატომ თხზავთ ახალ ნორმებს კერძოდ ჩემი ქვეყნისთვის? საქართველოს სახელმწიფოს მეთაურს ეს **არ გაუკეთებია.** ამგვარად, საფუძველი მაქვს ვამტკიცო არა მხოლოდ ის, რომ საქართველოში **ეუთოს** მისიის რეკომენდაციები ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგ არსებული შეთქმულების ელემენტია, არამედ ისიც, რომ საქართველოს სახელმწიფოს მეთაური ამ შეთქმულების თანამონაწილეა (უფრო ვრცლად არგუმენტაცია იხილეთ გაზ. „საქართველოს“ ზემოხსენებულ სპეცგამოშვებაში).

ამ შეთქმულების შესაძლო მექანიზმებზე, ბუნებრივია, ვერ ვილაპარაკებ მანამდე, სანამ მეტი არ მეცოდინება, ვიდრე ამჟამად შემიძლია ვიცოდე.

თავს უფლებას ვერ მივცემ ამ ეტაპზე სერიოზულად მოვეკიდო — ჩემი ცოდნის უკმარისობის გამო — გაზეთ „აღდგომაში“ (1996, აგვისტო №33) გამოქვეყნებულ მასალას „რომელი ქვეყნის მოქალაქეა შევარდნაძე?“, რომელშიც ნათქვამია: „მისი (შევარდნაძის) არაერთი ამაყი განცხადებით, სწორედ მან, ე.ი. შევარდნაძემ გააერთიანა ორი გერმანია და გამოიყვანა სამი არმია გერმანიისათვის უაღრესად მომგებიან პირობებში! მის სანაცვლოდ მან რუსეთს საქართველოს ორი ძირძველი, ისტორიული კუთხე — აფხაზეთი და სამაჩაბლო „დაუთმო!“ ხოლო მთელი საქართველო ისევ რუსეთის არმიის (სმოლენსკთან „დაბანაკებული 30 ათასი ჯარისკაცის!“) პოლიგონად აქცია“

ეს ჰიპოთეზი ჩემთვის მოულოდნელია. სხვა ჰიპოთეზია, რომ ეუთოს მისია საქართველოში (მისი მეთაურნი ბატონები ცვეტკოვი — უკრაინა, აიფი — გერმანია, ბოდენი — გერმანია) დაინტერესებულია პრეცედენტის შექმნით, როცა ეროვნულ უმცირესობას მეზობელ სახელმწიფოში ფაქტობრივად დამოუკიდებელი სახელმწიფოს სტატუსი აქვს. შესაძლოა სხვა ჰიპოთეზებიც. მაგრამ, ვიმეორებ, მათზე ვერ ვიმსჯელებ არასაკმარისი ინფორმირებულობის გამო.

ეს რაც შეეხება შევარდნაძის პოლიტიკას შიდა ქართლში და **ეუთოს** პოზიციას ამ რეგიონის მიმართ. მეორე საკითხია მისი პოზიციის უეცარი შეტრიალება (ან შეტრიალების სიმულაცია) **კავკასიის** მიმართ.

თუ გამოვრიცხავთ საკუთარი ხელისუფლების შენარჩუნების მოტივებს, აშკარაა, რომ შევარდნაძის პოლიტიკა საქართველოში 1992 წლის შუიდან დღემდე, რასაც საქართველოს ეკონომიკური, სამხედრო და მორალური პოტენციის გეგმაზომიერი ნგრევის ობიექტური ფორმა ჰქონდა (რუსეთისადმი მისი დაქვემდებარების მიზნით) — აფხაზეთის ომი და სამოქალაქო ომი მის წინ და მის შემდეგ, სახელმწიფოში მხედრიონის გაბატონება და შეუკავებელი დესტაბილიზაცია, რომლის შეკავება შეიძლებოდა, ეკონომიკის პარალიზება და უსაზღვრო კორუფციის კულტივირება, რამაც ქვეყანა შიმშილის მსხვერპლად აქცია — ყოველივე ეს შეიცავს კონკრეტულ ეპიზოდებს, რომლებიც მხოლოდ უუნარობით ვერ აიხსნებიან და წინასწარდასახულ ანტიქართულ მიზანზე მეტყველებენ. ამ ეპიზოდებში ერთერთია სისტემატური კურსის გატარება ქართულ-კავკასიური კონფლიქტის შექმნასა და გაღვივებაზე, რომელიც ზედმიწევნით ავსებდა და ეთანადებოდა „კავკასიელ მთიელთა“ ანტიქართული „ასამბლეის“, შემდეგ კი „კონფედერაციის“ შექმნის კრიუჩკოვისეულ იმპერიალისტურ კურსს. საქართველო არის ერთადერთი სახელმწიფო, რომლის მეთაურმა უსამართლო განცხადებები აკეთა ჩეჩენთა განმათავისუფლებელი ომის დაგმობის მიმართულებით, რასაც უსწრებდა აფხაზეთის ომის დროს გავრცელებული დეზინფორმაცია, თითქოს ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგ მეომარ ჩრდილოკავკასიელებში უმეტესი წილი ჩეჩნები ყოფილიყვნენ. წინააღმდეგ კანონისა, რუსის ჯარი დატოვებულ იქნა საქართველოში და, წინააღმდეგ საქართველოს სასიცოცხლო ინტერესისა, არ იქნა დაჭერილი და გაცხადებული ჩვენი ქვეყნის შეუვალი მტკიცე პოზიცია: „საქართველოს არც ერთი გოჯი მიწა არ იქნება გამოყენებული პლაცდარმად ჩეჩნების წინააღმდეგ ომისათვის“. უფრო მეტიც — საქართველომ არა მარტო თავისი რეალური ინტერესები დათმო აფხაზეთის ომში იმით, რომ რუსეთს მისი აგრესია აპატია, არამედ თავისი სიმბოლური, პრესტიჟისეული ინტერესებიც დათმო, როცა ქართულ-აფხაზური ურთიერთობები, ერთის მხრივ, და რუსულ-ჩეჩნური ურთიერთობები, მეორეს მხრივ, ერთ სიბრტყეზე დააყენა. საქართველოს ხელმძღვანელობაში არავის ეყო ჭკუა და პასუხისმგებლობა, რათა ეთქვა, რომ აფხაზეთი საქართველოსთან **მიერთებული** ქვეყანა კი არაა, არამედ თვითონვეა საქართველო (და აფხაზეთი) ეთნიკურად, ისტორიულად, არქეოლოგიურად, კულტურულად და სოციალურად (აფხაზეთის ფეოდალიზმი, რომლითაც ეს პატარა ერი ახალ დროში შემოვიდა, ხომ პირწმინდად ქართული იყო) იმ დროს, როცა ჩეჩნეთი რუსეთის მიერ ცეცხლითა და მახვილით დაპყრობილი ქვეყანაა, რომელსაც რუსეთთან საერთო არაფერი აქვს. რუსეთმა ამ მხრივაც კიდევ ერთხელ მოატყუა საქართველოს არაშორსმჭვრეტელი ხელმძღვანელობა და ანტიჩეჩნური განცხადებებით თავი გაასვრევინა მას, ხოლო თვითონ, ნაწილობრივ მაინც, დროზე მოვიდა გონს და თითქმის ოფიციალურად აღიარა ჩეჩნები ეროვნული თავისუფლებისათვის მებრძოლებად.

რუსეთი რომ კავკასიიდან წამსვლელია, დღეს უკვე მსოფლიო ხედავს. მას აქ უკვე მსოფლიოს ისეთი ინტერესი დაუპირისპირდა, რომ არწასვლა მას აღარ შეუძლია. მაგრამ კითხვა ისმის: შეიძლებოდა თუ არა მოვლენათა ასეთი განვითარების განჭვრეტა წინასწარ? რა თქმა უნდა, შეიძლებოდა. ამიტომ საქართველოს ხელისუფლების მიერ ჩვენთვის თავს მოხვეული კურსი არა მხოლოდ ანტიქართული (ცალსახად პრორუსული) და არამორალური იყო თავისი ბუნებით, არამედ პრაქტიკულად უგუნურიც. რუსეთის წინაშე კაპიტულაციის პოლიტიკამ ჩვენ არა თუ ვერაფერი მოგვაგებინა ჩვენს საკუთარ ომებში (პირიქით), არამედ კავკასიაში მედროშეობისთვის შეჯიბრიც უკვე თითქმის წაგვაგებინა, სათავეში უჯიშო ცხვრების მყოლებს, ჩეჩნების

გაგრძელება მე-7 გვ.

უდანაშაულო მამა, უდანაშაულო შვილი!

პასუხად თენგიზ კიტოვანს

 წერილი მეხუთე

გაგრძელება. დასაწ. იხ. „საქართველო“ №35,36,37,38.

შენ. ჩემ თავმკვდარო, შენ, ჩემ თავმკვდარო ბატია! ახლა კი მივადექით (როგორც იქნა!) შენთვის მოწყობილ ერთ-ერთ ბოლო პროვოკაციას.

პატივცემულო მკითხველებო! გაიხსენეთ, რას ბრძანებდა ბატია გაზეთ „საქართველოში“: — „რაც შეეხება ჩემს ავარიას, ეს იყო მოწყობილი და მაგრად ინსპირირებული. ამის მასალები არსებობს, თანაც ბევრი. ჩემი თხოვნა იქნება, რომ ნახოთ ვიდეო მასალა, რაც შამაჩემმა დამიტოვა. იქ არის გარკვევით ყველაფერი ნაჩვენები, მასალები, თუ როგორ შეთითხნეს ყველაფერი“.

ვიდეომასალა ნახა ჟურნალისტმა გუბაზ მეგრელიძემ, შემდგომ მეც მომეცა ამის საშუალება და „საქართველოში“ დაიბეჭდა კიდეც „გაშიფრული“ ტექსტი. ბატიას მამა რასაც ბრძანებდა, უკვე ვიცით.

თავიდანვე მინდა განვაცხადო: დოკუმენტები, აღნიშნულ ავტოსაგზაო შემთხვევასთან დაკავშირებით, რამოდენიმე ტომს შეადგენს. იმისათვის, რომ ვინმემ არაობიექტურობა არ დაგვწამოს, ძირითად აქცენტს თავად ბატიასა და მისი ოჯახის წევრების ხელით შედგენილ დოკუმენტებზე გავაკეთებთ. დასკვნებს, დარწმუნებული ვარ, თავად მკითხველიც იოლად გამოიტანს.

ასევე წინასწარ მინდა გითხრათ, რომ ნებისმიერ პირს, ჟურნალისტსა თუ ბატიას ახლობელს, თუნდაც რომელიმე საერთაშორისო ორგანიზაციას, რომელიც დაინტერესდება ჩვენს მიერ ციტირებული დოკუმენტების გადამოწმებით, მზადა ვართ წარმოვუდგინოთ ისინი დაუყოვნებლივ — მათთვის სასურველ დროს. ასე რომ, მე მზადა ვარ!

ახლა კი, შენ, ჩემ თავმკვდარო ბატია, კიდევ ცოტათი ნამოსწი ფარდა, დავანახოთ მკითხველ საზოგადოებას, თუ როგორ მოგიწყო პროვოკაცია შევარდნაძემ — იმ დროისათვის საქართველოს სსრ შ.ს. მინისტრმა. მაშ ასე, ვითვალისწინებ რა, რომ ბატიას ნერვები ნესრიგში არა აქვს, გაფრთხილებთ:

ჩუმად! ნუ გააღვიძებთ კიტოვანს!

საბრალდებო დასკვნა — იმ დროის ტრადიციისამებრ, გამომძიებელ კუპრავას მიერ (გახსოვთ, ალბათ, ბორჯომელი კუპრაძე — ეს სწორედ ისაა, ოღონდ ამჯერად შევარდნაძის ბრძანებით ვვარი კუპრავად გამოიცვალა და ბატიას მეორე „მაგრად პროვოცირებულ“ საქმეს ძიებდა. თ.კ.) რუსულადაა შედგენილი. მკოთხველი საზოგადოება ძალიან რომ არ, გადაკვლილ, გთავაზობთ ამონარიდებს ქართული თარგმანით.

ფრაგმენტები საბრალდებო დასკვნიდან: „1969 წლის 15 ნოემბრის საღამოს, დაახლოებით 18-დან 22 საათამდე ბრალდებული თენგიზ კალისტრატეს ძე კიტოვანი მამამისთან კალისტრატე (შოთა) გიორგის ძე კიტოვანთან და მეგობრებთან — გიფერანდაშვილთან, ი.ვ. მესხიშვილთან, ზ.ვ. თორხაძესთან და დ.დ. დარგაძესთან ერთად თავის სახლში ღვინოს სვამდა. გახშმის შემდეგ სახლიდან მეგობრებისა და მშობლების წასვლის შემდეგ 23-ე საათის დასწყისში ბრალდებული კიტოვანიც გამოვიდა სახლიდან მარტო და თავისი კუთვნილი ავტომანქანით — გაზ-21 სახ. №04-44 მთვრალი, დიდი ხინჯარით რუსთავის მიმართულებით გაეპარა...

დაახლოებით 23 საათზე თბილისი-რუსთავის გზატკეცილის მე-12 კილომეტრზე, სოფ. სოღანლუღთან თ.კიტოვანმა დაინახა რა გზის მარჯვენა უკიდურეს მხარეს მიმავალი ორი ადამიანი, არ შეეცალა მანქანის გაჩერებას ან არიდებას და დეეჯახა მოქ. სამუშაოსა და ონიანს.

დეჯახებისაგან ზემოთ ასროლილი სამუშაო და ონიანი დაეცნენ ავტომანქანის კაპოტზე და 52 მეტრის შემდეგომ ჩამოცვივდნენ მანქანიდან თავიი თბილისაკენ.

მიღებული ტრავმებისაგან სამუშაო და ონიანი ადგილზევე გარდაიცვალნენ.

დეჯახებისაგან ავტომანქანას ჩამსხვრა საჭარე მინა, გაეღვნა ბამპერი, რადიატორის მოპირკეთება და კაპოტი, ძრავსაკენ შეეღვნა რადიატორი. ამასთან, საჭესთან მჯდომმა თ.კიტოვანმა მიიღო მსუბუქი დაზიანებები — გაეჭრა მარჯვენა ხელის თითები და საჭე მინის რამოდენიმე ნამსხვრევი შეერჭო თავის კანში.

დეეჯახა რა ადამიანებს, კიტოვანმა არ გაჩერა ავტომანქანა და რუსთავის მიმართულებით მიიმალა.

ვინაიდან მანქანა დაზიანებული იყო, შემთხვევის ადგილიდან ოთხი კილომეტრის შემდგომ კიტოვანი აძულებული გახდა გზიდან გადაეყვანა მანქანა და მიეტოვებინა იგი, თვითონ კი უკან, თბილისის მიმართულებით გამოიქცა, რათა თბილისისაკენ მიმავალი რამე მანქანით სასწრაფოდ დაბრუნებულიყო თბილისში და მილიციაში განეცხადებინა იმის შესახებ, თითქოს უცნობმა პირმა გიტაცა მისი ავტომობილი, მაგრამ შეტყობინებით გამოძახებულმა ავტოინსპექციის კაპიტანმა შ.ნარჩემაშვილმა აღმოაჩინა რა ჯერ კიტოვანის მანქანა, შემდგომ მანქანიდან 1,5 კილომეტრის მანძილზე შეამჩნია ფეხით მიმავალი კიტოვანი და ვინაიდან მისი საქციელი საეჭვოდ მოეჩვენა, დაკავა იგი და წარადგინა მილიციის სოღანლუღის რ.განყოფილებაში. ამასთან კიტოვანი ცდილობდა ნარჩემაშვილის მოტყუებას, თითქოს მას მანქანა მოსტაცეს და გაქცევასაც კი შეეცადა.

ბრალდებულ კიტოვანის მანქანის დათვალიერებისას რადიატორის მოპირკეთებისა და კაპოტის მარჯვენა მხარეს, საჭარე მინის ძირას, რამოდენიმე ადგილზე აღმოჩნდა ადამიანის სისხლისმაგვარი ლაქები, რაც ექსპერტიზამაც დაადასტურა.

ბრალდებულ კიტოვანის ავტომანქანის წინა საჭრძლის ჯიბეში აღმოჩნდა ასტამურ ანბას მკვლელობისათვის ძებნილი ფარვაზ ძაგნიძის სტუდილეთი, რომელიც — შემდგომ გაირკვა — ჩამოუტანეს ქუთაისიდან 1969 წლის 14 ნოემბერს შ.გოგისვანიძის ხელით, ვის ნათესავებთანაც 13-დან 19 ნოემბრამდე იმალებოდა კიტოვანის ნათესავი ფ.ძაგნიძე.

თ.კიტოვანის თავის კანიდან ამოღებული მინის ნამსხვრევები მანქანის საჭრე მინის ნაწილების იდენტური აღმოჩნდა“.

როგორც საბრალდებო დასკვნის დასაწყისში ითქვა, ბატამ ჯერ განცხადა, რომ მას მანქანა მოსტაცეს და რომ რუსთავი-თბილისის გზაზე იგი ფეხით მის საძებნად იყო გამოსული. ვინაიდან ჯერ-ჯერობით ახსნა თავის კანიდან ამოღებული შუშის ნამსხვრევების წარმოშობლობა, აძულებული გახდა ეღიარებინა, რომ საკუთარ მანქანაში იჯდა, მაგრამ თავისი ახლო ნათესავის — ფ.ძაგნიძის სტუდიელეთის მის მანქანაში აღმოჩენამ უბიძგა ცილი დაეწამებინა მისთვის, თითქოს ფ.ძაგნიძე იჯდა საჭესთან და ონიანსა და სამუშაოს იგი დეჯახა.

ამ ჯერსიის გასამთელებლად გამოძიებას ბევრი მუშაობა დაჰჭირდა.

იძულებული ვარ აღვნიშნო, რომ მე არ გავმახვილებ ისეთ მეორეხარისხოვან ამბებზე ყურადღებას, როგორიცაა ყალები დროებითი მართვის მოწმობის დამზადება და ა.შ.მიყვეთ მთავარს:

ბატიას ჩვენებიდან. 1969 წლის 18 ნოემბერი: „1969 წლის 15 ნოემბერს ჩემთან სტუმრად ჩამოვიდა ჩემი ნათესავი შოთა გოგისვანიძე, რის შედეგადაც მე წავედი ბაზარში და მოვიტანე სანოვაგე, დილეთ კი მივიტანე ხაში სტუმრებისათვის (?!!—15 ნოემბერს ღამით, ავტოსაგზაო შემთხვევის შემდეგომ, ბატია ღაკავეს, ასე რომ, დილით ხაშს ვერ მოიტანდა. ალბათ, 15 ნოემბრის დილას თუ გულისხმობს. თ.კ.). ჯერ ადრე გავკარე ჩემს ამხანაგს ვალერი გიფრინდაშვილს, რომელიც იყო ჩემთან, მერე იყო ჩემი მეზობელი თემერი მესხიშვილი. შოთა გოგისვანიძეს ეჭქარებოდა ქუთაისში და წავიდა თავისი ცოლთან და... (სატყვა არ იკითხება. თ.კ.) თავისი დით. დაახლოებით 6 საათზე ჩემთან ჩამოვიდა ზური თოხაძე თავისი მეუღლით, მერე მოვიდა მიტო დანგაძე. თამადათ სუფრაზე იყო მაჩაჩემი კიტოვანი კალისტრატე. დაახლოებით 10 საათზე მაჩაჩემი და ლეღჩემი წავიდნენ სახლში და როგორც მოგეხსენებათ, ვიყავი ნასვამი, რადგან დავლიეთ უზომოდ ბევრი ღვინო. მე ზუსტად აღარ მახსოვს, რომელ საათზე დავშალეთ... ზუსტად არ მახსოვს რომელი ჩემი ამხანაგი მივაკვლე ან თუ გავაცილე ისინი. სახლში რომ შევიყენი თუ შემოსვლამდე შემოვიდა ერთი ახალგაზრდა და მითხრა ქვემოთ გეძახიანო ან ქვემოთ ვიყავი და მაშინ მითხრა ტუპაკში გეძახიანო, მე რომ ტუპაკში ავედი დავინახე ფარვიზ ძაგნიძე იდგა. მან ჩქარა მთხოვა წამეყვანა რუსთავში. მე მას უარი ვუთხარი ვინაიდან ვიყავი ნასვამი და მაგარი მთვრალი. მან მე მითხრა მე წავიყვან მანქანასო და გამომართვა გასაღები, დაჯდა მანქანაში დაქოქა და მეც დაუჯექი გვერდზე მგონი და წავიდა რუსთავის მიმართულებით. სად ოხდა ავარია მე არ მახსოვს გზა ზუსტად. გავიგე მაგარი ხმა და შუშის მტვრევა, ფარვიზი არ გაჩერებულა რამოდენიმე კილომეტრს მეც ხმა ვერ ამოვიღე დაბნეულობისაგან. მერე გადაუხვია მარჯვნივ გზიდან და იქვე გაჩერა. რის შემდეგაც გაიქცა რუსთავის მიმართულებით, მე კი წამოვედი შემთხვევის ადგილისაკენ და ვიხილე ბიჭები მანქანებს რის შედეგადაც გავჩერე თუ გააჩერა მილიციის თანამშრომლებმა. მე ვთხოვე თბილისში დაბნეულობისაგან წაეყვანა ჩემი თავი. გზაზე დავინახე ნავარიალი ადგილი. ფარვიზ ძაგნიძე რომელსაც მე უკურებდი გაჩერა რუსთავის მიმართულებით „ვოლგა“ და წავიდა. ნომერი მე არ დამიმახსოვს.

ახალგაზრდას რომელსაც მე გამომიძახა არ ვიცი სახლიდან თუ მანქანასთან ძაგნიძის თხოვნით არ ვაცნობ და ვერ დავსახელებ ძლიერი სიმთვრალის გამო. არ მახსოვს საჭეს არავითარი გარემოება გარდა ერთისა, რომ მანქანის საჭესთან იჯდა ძაგნიძე და არა მე“.

სტილი, როგორც სხვა დოკუმენტებისა, ასევე ბატიას ჩვენებებში სრულადაა დაცული.

1969 წლის 18 ნოემბერს მაორი კუპრავა უკვე საქმეშია ჩართული. მანვე მიიყვანა გამოძიება ბოლომდე. იმავე დღესაა გამოტანილი დადგენილება კიტოვანის, ბრალდებულის სახით, პასუხისგებაში მიცემის შესახებ.

პირველი დაკითხვიდანვე როგორც უკვე ვთქვით, ბატია ხელს ადებს ფარვიზ ძაგნიძეს — თავის უახლოეს სათესავსა და მეგობარს, გამომდინარე ვითარებიდან უნდა ვივარაუდოთ, რომ ბატია ან მართალს ამბობს, რადგანაც სხვაგვარად არ შეუძლია, ან ცრუობს და უდანაშაულო კაცს — ნათესავსა და მეგობარს — რომელიც ერთი მკვლელობისათვის უკვე ეძებნება, კიდევ უფრო უმძიმებს დანაშაულს. მე მივყვები საქმის მსვლელობას. თქვენ კი, პატივცემულო მკითხველებო, გინდა საბჭოური (მაშინ ის კანონები მოქმედებდა. თ.კ.) კანონებით გაზომეთ ბატას საქციელი და გინდაც ქურდული მორალით აწონ-დაწონეთ. მაშ ასე. ფრაგმენტი საბრალდებო დასკვნიდან:

„ავტოსაგზაო შემთხვევაში ადანაშაულებდა რა ფ.ძაგნიძეს, ბრალდებული კიტოვანი ჯერ ამტკიცებდა, თითქოს ონიანზე და სამუშაოზე დაჯახების მომენტში მანქანაში იმყოფებოდნენ ორნი — ძაგნიძე საჭესთან და მის გვერდით კიტოვანი, მაგრამ შემდეგ განაცხადა, რომ მათთან ერთად მანქანაში კიდევ იყო მათივე მეგობარი ვალერი გიფრინდაშვილი.

მოწმე ვალერი გიფრინდაშვილმა, როგორც დაკითხვაზე, ასევე დაპირისპირებისას უარყო ჯერსია, თითქოს ავტოსაგზაო შემთხვევის დროს იგი მანქანაში იმყოფებოდა. მან განაცხადა — და მისი განცხადება შემდგომ დადასტურდა — რომ იგი კიტოვანს ეღიდებოდა მის სახლთან ახლოს, რადგან სანადირიდან უნდა წასულიყვნენ და მასთან სახლშიც კი მივიდა საკითხავად, მოვიდა თუ არა თენგიზი.

ბრალდებულ კიტოვანის მეუღლემ და კიტოვანის მეგობრის შ.გოგისვანიძის ქალიშვილმა ნანომ დაადასტურეს გ.გიფრინდაშვილის ჩვენება და თქვეს, რომ თ.კიტოვანის წასვლიდან დაახლოებით 30 წუთის შემდეგ იგი — ვ.გიფრინდაშვილი მოვიდა მათთან სახლში და იკითხა ბრალდებული კიტოვანი“.

ჯერჯერობით არაფერი ბოლომდე არაა გარკვეული. მალე ფ.ძაგნიძე თავად ჩაბარდება მილიციას. მანამდე მასთან მოლაპარაკებებს აწარმოებენ კიტოვანის მშობლები და ა.შ. ბატამ კი გადაწყვიტა თავისი კოზირი — სიგიჟე გაითამაშოს.

განცხადება რუსულადაა შედგენილი. გთავაზობთ მის ზუსტ თარგმანს:

„საქ. სსრ საგამოძიებო სამმართველოს უფროსს მაორ ო.კუპრავას

საგამოძიებო ოზოლატორის პატიმრის თენგიზ კალისტრატეს ძე კიტოვანის

განცხადება

ნერვული სისტემის დაავადებისა და ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო გთხოვთ გამაგზავნოთ ფსიქიატრიულ საავადმყოფოში, სადაც აღრე ვმკურნალობდი. გთხოვთ უარს ნუ მეტყვით.

თ.კიტოვანი

6.01.70

გაგრძელება აუცილებლად იქნება.

თეიმურაზ კვირკველია

თენგიზ კიტოვანი: «ვინც ჯანსაღი ეროვნული ინსტინქტია კოდექსს არღვევს, ყველამ უნდა მიიღოს!»

თენგიზ კიტოვანი

წერილი, რომლის ავტორი თეიმურაზ კვირკველია მატროსოვის როლს ასრულებს ხელისუფლებაში, დღესაც წავიკითხე. მინდა უბრალოდ პასუხი გავცე მის ახალ „ნამღვაწარს“. წყალში ხომ ვერ ჩავეყრით, ამ ჩვენს ყურცქვიტა ბიჭს?

ბატონო თეიმურაზ! ვკითხულობ თქვენს ნარკვევებს ჩემზე და ჩემს ოჯახზე. დიდი მადლობელი ვარ, რომ ძირფესვიანად შეგისწავლია კაცობის კოდექსი — თქვენ, ჩემი ყურცქვიტა მეგობარო, გეტყობა მთელი ახალგაზრდობა ისე გაატარე, რომ ჩხუბიც არ მოგსვლია, ან ქალთან არ გაგივლია, ან მოწინააღმდეგე არავინ გყოლია. მოკლედ, შენ და შევარდნაძე ერთმანეთს დამსგავსებიხართ.

ეგრე არ გამოგივა. მე არ ვიცი გკვნს ცოლი თუ არა, მაგრამ რომ გკვლეს და მეუღლეს შეურაცხყოფა მიაყენონ, ეტყობა ხმას არ ამოიღებ, იმიტომ რომ შენს კარიერაზე იმოქმედებს. სკოლაში ან სტუდენტობის ღრეს ეტყობა კარჩაკეტილ ცხოვრებას ეწეოდი, ჩემი თეიმურაზ, ან მეგობრები არ გყავდა, რომლებსაც გარეთ ჭეშაში გამოეყვანე?

თუ შაანაბადზე ამოსვლა გაბედე შე კაი ადამიანო, შერე მხედრიონში შეხვედი, კაცობა მაინც გესწავლა, ქალის დაცვა, ან ოჯახის ან შვილების. ერთი წერვი მაინც შეეტოკებოდა რაიმეზე. მე არ ვამბობ ჩემსავით მუშტები გექნია, ერთი მაინც მაგრა დაგელრაალა, რომ ვინმეს ეოქვა, თემური კაცივით ყვირიდო, ან ვინმეს იცაცდაო. მოსულაკავი ჩემთან, ჩემი თემურ, რაზეს მოგიყვებოდი, კაცობას გასწავლიდი, ჩაშვებას და ხალხის დახვრეტას კი არა. მანდ ვყავს მამა და მარჩენალი, ის გასწავლის როგორ დახვრიტო ადამიანები, როგორ გადაკიდო საზოგადოება ერთმანეთს.

ჩემო თეამურაზ, ეხლა, საავადმყოფოში რომ ვიყავი, შენისთანა ჩამშვები ორი ახალგაზრდა გავტყიპე ამ ინფარქტანაა კაცმა. მადი და ახალი საქმე აღძარი და დაიწყე გამოძიება. იმაიმა კაცური კოდექსი დარღვიეს. ვინც კაცურ კოდექსს არღვევს, ყველამ უნდა მიიღოს, თორემ გამრავლდება შენისთანა ჩირგვში მჯდომი ყურცქვიტა კურდღლები. გამომძიებელი კუპრავა იყო შევარდნაძის მონა გამომძიებელი, რომელმაც ყველა შეკვეთილი ძიება ძალადობით დაამთავრა, დაწყებული ლაზიშვილები და ბიბილეიშვილები. რატომ შევარდნაძეზე არ წერ? ის ხალხი ჯერ ცოცხალია. ცირეკიძე ბევრჯერ იყო მოსული ჩემთან და მითხრა, რომ პირზე დავდგები, რასაც მავალებდა ყველაფერს ვუსრულებდაო. რატომ ხარ გაჩუმებული, ჩემო მამაცო ყურცქვიტავ? დაპატიმრებული კაცის არ გეშინია? შენ გეონია, რომ ჩვენი რისხვა არ მოგადგება. ძალიან შეშცდარხარ, შენ ჩემი პროკურატურის ჩვარო! შენი მამადამარჩენალი ცას არ გამოეკიდება იცოდე. მერე რას იზამ, ამდენს რომ წერ... ცოდვა ხარ, შეიბრალე შენი უმწიკვლოდ გატარებული ახალგაზრდობა, კაცს რომელსაც ხელი არ გაგიქნევია, თავი კი.

მადლობთ ყურადღებისათვის.

თენგიზ კიტოვანი

ცუცა კიტოვანი: მე სიბერეში მოვიწია ამის დაწერა

ვავიკითხე წერილი კვირკველიასი ჩემს ძმაშვილზე და ჩემს ძმაზე. საქართველოსათვის ახალი ამბავი არ არის შევარდნაძის გადაკიდება ჩემს ძმაზე და მის შვილზე. რასაც კვირკველია წერს არის ტყუილი. მილიცია შევარდნაძის დავალებით ნადირობდა ჩემს ძმაშვილზე და უწყობდა ათას პროვოკაციებს. მე სიბერეში მომიწია ამის დაწერა, სულ მილიცია და შევარდნაძის პროვოკაციები იყო, რასაც მას აბრალებდნენ. მე საჩივარი არ შემიტანია. თუ ოჯახში თენგიზთან უსიამოვნო ლაპარაკი გვქონდა, ეს ჩვენი ოჯახის საქმე იყო და არა მილიციის. თუ კვირკველიას სიმართლისთვის უძგერს გული, მოვიდეს ჩემთან, ავადმყოფ, თენგიზის დარდით ლოგინად ჩავარდნილ მამიდასთან და გაიგოს სიმართლე, ნახოს რა პირობებში ვარ. დასვენეთ ჩემი ძმა საიქიოში. დაწყევლილი იყოს ის ადამიანი, ვინც ჩვენს ოჯახს გადაეკიდა, არ გვასვენებს. გთხოვთ, ეს წერილი გამოაქვეყნოთ გაზეთში.

თენგიზ კიტოვანის მამიდა

ცუცა კიტოვანი

გაგრძელება. დასაწ. იხ. „საქართველო“ №37,38

ახალქალაქში მიჭედი სომხური, თითქოსდა საქველმოქმედო, ორგანიზაცია „ჯავახკა“ და ზოგიერთი სხვა ორგანიზაცია დაუფარავ ლეგალურ თუ არალეგალურ ანტიქართულ მუშაობას ეწევიან. „ჯავახკა“ უწინარეს ყოვლისა არის არა ქართველთა, არამედ სომეხთა მტერი. იგი დღემდე არაა რეგისტრირებული საქართველოს იუსტიციის სამინისტროში. მისი იდეოლოგია და პრაქტიკა ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის 26-ე მუხლის მე-3 პუნქტს, რომელშიც ნათქვამია: „დაუშვებელია ისეთი საზოგადოებრივი და პოლიტიკური გაერთიანების შექმნა და საქმიანობა, რომლის მიზანია... ქვეყნის დამოუკიდებლობის ხელყოფა, ტერიტორიული მთლიანობის დარღვევა, ან რომელიც ეწევა ომის ან ძალადობის პროპაგანდას, აღვივებს ეროვნულ, კეთურ, რელიგიურ ან სოციალურ შუღლს“.

„ჯავახკა“ და ახალქალაქის ზოგიერთი სომხური ულტრაშოვინისტური ორგანიზაცია ცდილობენ დაარღვიონ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა. ხელყოფენ მის დამოუკიდებლობას, ფარულად უწევენ ძალადობის პროპაგანდას და აღვივებენ ეროვნულ შუღლს. ამიტომ საქართველოს შესაბამისმა ორგანოებმა დაუყოვნებლივ უნდა აკრძალონ მათი საქმიანობა.

„ჯავახკა“, „არშალუსი“, „ზართუნკისი“, „ჯავახეთის მიწათმოქმედთა კავშირი“. სხვა სომხური შოვინისტური ორგანიზაციები და მათი მესვეურები გონს უნდა მოეგონ. მათ ერთხელ და სამუდამოდ უნდა ირწმუნონ ის ჭეშმარიტება, რომ საქართველო არ დათმობს ერთ გოჯ მიწასაც კი. რომ ჯავახეთი ძირძველი სომხური მიწა კი არა, უხსოვარ დროიდან ქართველთა სისხლით მორწყული საქართველოს განუყოფელი ნაწილია და სომეხთისათვის მის შეერთებას ვერასდროს ვერ შესძლებენ. თვით ჯავახეთის სომხური მოსახლეობის 80—90 პროცენტის დიდი სურვილია საქართველოში ქართველების გვერდით იცხოვრონ. ამის უტყუარი დასტური იყო ახალქალაქში სომხეთის პრეზიდენტის ლევონ ტერ-პეტროსიანის ყოფნის დროს „ჯავახკას“ ტრანსპარანტის — „მოვითხოვთ ჯავახეთის განსაკუთრებულ სტატუსს!“. გვერდით იყო უანსაღად მოაზროვნე სომეხთა ტრანსპარანტი — „ჩვენ სტატუსი ქართველთა და სომეხთა ძმობა და მეგობრობაა“. მაგრამ თუ ჯავახეთის სომეხ შოვინისტებსა და ექსტრემისტებს საქართველოში ცხოვრება არ სურთ, მაშინ მათ შეუძლიათ თვითონ დატოვონ საქართველო და კვლავ თურქეთში მამა-პაპათა კერას დაუბრუნდნენ. „სომეხთა ამ კურნხში“ დასახლებისათვის, — წერდა ივანე ჯავახიშვილი, — ქართველებს შეეძლო შეეხედნა მხოლოდ ვითარება დროებითი მოვლენისათვის: ვითარება ოსმალთა მიერ დევნილი ხალხის დროებითი შემოხიზნისა და თავშეფარებისათვის. რა წამს სომხთათვის პოლიტიკურად ხელსაყრელი პირობები შეიქმნებოდა... ეს ოსმალეთითგან შემოხიზნული სომხობა კვლავ თავის სამშობლოს, მამა-პაპათა კერას უნდა დაუბრუნდეს“ (იხ. ჯავახიშვილის დასახ. ნაშრომი, გვ. 55).

* * *

საწყენარიდ, სომეხთა ულტრაშოვინისტური ინტელიგენციის, ჟამარ-კომერსანტთა და სასულიერო წრეების ცალკეულმა ბეცმა ჯგუფებმა ეროვნული იდეოლოგიის ქვაკუთხედად ილუზირებული „დიდი სომეხეთის“ აღდგენის უტოპიური იდეა გაიხადეს. სწორედ ამის პრაქტიკულ გამოვლინებად უნდა მივიჩნიოთ ყარაბაღის კონფლიქტი, საქართველოს შავიზღვისპირეთში მშვიდობიან დემოკრატიულ ექსპანსიასთან ერთად შეიარაღებული მეთოდის გამოყენება, სამცხე-ჯავახეთში საქველმოქმედო საქმიანობით შენიღბული სომხური ექსტრემისტული ორგანიზაციების ლეგალური თუ არალეგალური ანტიქართული საქმიანობა, ამას წინათ სომხურ გაზეთ „ლრაგირში“ გამოქვეყნებული სომეხი ჟურნალისტის ა.კაკირიანის გახმაურებული სტატია — „დიდ სომეხეთი მცირე საზღვრებში, როგორც ეროვნული პროგრამა 2000 წლამდე“, სომეხეთის ოფიციალურ თუ არაოფიციალურ პოლიტიკოსთა საქართველოს მიმართ დაუფარავი, უსაფუძვლო ტერიტორიული პრეტენზიები და სხვ.

უაზრობა იქნებოდა დაგვეფარა ის ანტიქართული იდეოლოგია და პრაქტიკა, რასაც ეწევიან საქართველოში და აფხაზეთში სომეხთა ულტრაშოვინისტური და ექსტრემისტული ჯგუფები. აფხაზეთში ქართველების მიმართ, აფხაზი და ჩრდილო კავკასიელ „ბიუეიკებთან“ შედარებით, განსაკუთრებული სასასტიკით გამოირჩეოდნენ სომხები. მათ შექმნეს ობილისში გაზრდილი მარშალ ბაგრამიანის სახელობის ბატალიონი, რომელსაც აფხაზი სეპარატისტები ყველაზე რთული საშედრო ოპერაციების განხორციელებას ავალებდნენ. ეს ბატალიონი დღესაც არძინბას სამსახურშია. ბატალიონისათვის ბაგრამიანის სახელის მიკუთვნებაც შემთხვევითი არაა. აი, რას ამბობს ისტორია: 50-იან

მიმართვა საქართველოში მცხოვრები სომხებისადმი

„რა სირთულეებსაც უნდა განიცდიდეთ, მოდით, ვიყოთ გულახდილნი: დამისახელეთ მსოფლიოში თუნდაც ერთი სახელმწიფო, იქნება ეს ამერიკის შეერთებული შტატები, სადაც მილიონი სომეხი ცხოვრობს, საფრანგეთი, იქ მცხოვრები 400 ათასი სომხით, სირია, ირანი, ერაყი, ლიბანი, არგენტინა, ან თუნდაც რუსეთი, შუა აზია... დამისახელეთ საქართველოს მსგავსი სხვა ქვეყანა, სადაც სომხურ თემს ჰქონდეს ორასზე მეტი სომხური სკოლა, და კიდევ ერთხელ ვიმეორებ, ეკლესიები, თეატრი, გაზეთი, ჰყავდეს დეპუტატები. ასეთი ქვეყანა არ არსებობს... ჩვენმა ხალხებმა უნდა შეძლონ, რომ საკადრისი პასუხი გასცენ უპასუხისმგებლო ადამიანებს, რადგან ნებისმიერი სომეხი, რომელიც საქართველოს წინააღმდეგია, უწინარეს ყოვლისა, არის არა ქართველთა, არამედ სომეხთა მტერი, და ანალოგიურად სომხეთის მოწინააღმდეგე ნებისმიერი ქართველი, უწინარეს ყოვლისა, თვით ქართველი ხალხის მტერია“.

ლევონ ტერ პეტროსიანი

„ჯავახკას“ სომხური, ანტიქართული, აგრესიული შოვინიზმი და ა. შახატუნიანის „მეცნიერული აღმოჩენები“

შუა წლებში ბათუმში შემოვიდა უცხოეთიდან რეპატრირებული სომხებით დატვირთული გემი. სომეხთა სამშობლოში დაბრუნების ინიციატორები ა.შიქონი, მწერალი მ.შაგინიანი და მარშალი ბაგრამიანი იყვნენ. საბჭოთა სომხეთის მაშინდელმა მთავრობამ, რადაც ჩვენთვის გაუგებარი თუ გასაგები მიზეზების გამო, სომხეთში საცხოვრებლად რეპატრირებულია შორის შეარჩია ყველაზე ინტელიგენტური მცირე ნაწილი. სოლო დიდი უმრავლესობა კი სრულიად სომეხთა კათალიკოსის ვაზგენ I-ის ლოცვა-კურთხევით, ნხრუშნოვისა და ა.შიქონიანის წაქეზებით პოლიტიკური მიზანდასახულობით აფხაზეთში დასახლეს. სწორედ, რომ აფხაზ სეპარატისტებს ყველაზე უფრთ მტკიცედ 50-იან წლებში აფხაზეთში ჩამოსახლებული სომხობა ედგა მხარში.

ამიტომ არასწორია ის აზრი, რომ თითქოს აფხაზეთში სომხური ბატალიონები შეიქმნა აფხაზი სეპარატისტების შიშის გამო, რომ თითქოს აფხაზეთის სომხობამ ძალადობა განიცადა ქართველთა მხრიდან. მართალია, ქართველთა ბანდებმა სომხებიც გაძარცვეს, მაგრამ ქართველების წინააღმდეგ სომხური ბატალიონების დანაშაული ბევრად აღემატებოდა სომხების მიმართ ქართველების დანაშაულს. ბაგრამიანის ბატალიონმა კოდორის ხეობაში მიწასთან გასწორა ქართული სოფლები: ამტკელი, ჭამალი (ჩინი), ქვემო ლათა, ზემო ლათა და სხვ.

გულრიფშში მკვლელობებისა და ვანდალიზმის, სადისტისა და გაუგონარი წამების უტყუარი ფაქტების 90—95 პროცენტი ბაგრამიანის ბატალიონისა და გულრიფშის რაიონში მცხოვრებ სომეხთა სინდისზეა. ამ ბატალიონის აღმოცენებასა და გაძლიერებაში სომხურ დასპორას უდიდესი წვლილი მიუძღვის. კერძოდ, ამ მხრივ თავი გამოიჩინა რუსეთის კომერციულმა ბანკმა „ტიკო“-მ, რომელსაც ხელმძღვანელობენ ყოფილი სიხუმელები, ამჟამად კი მოსკოვში მცხოვრები ძმები ცატურიანები.

1989 წლიდან ქართველებსა და აფხაზებს შორის ურთიერთობის გამწვავებაში თავისი „დიდი წვლილი“ შეიტანა აფხაზეთში მოქმედმა სომხურმა ანტიქართულმა, შოვინისტურმა ორგანიზაციამ „კრუნკმ“ და მისმა ხელმძღვანელმა ა.ტოპოლიანმა. აფხაზეთის სისხლიან ტრაგედიამდე სეპარატისტთა მიერ მოწყობილ ანტიქართულ მიტინგებზე. ქართველებთან პირად საუბრებში „კრუნკის“ წევრები და არა ერთი წევრი, საჯაროდ აცხადებდნენ, რომ აფხაზეთი აფხაზების მიწაა, მათ ჩვენ ამ მიწაზე დაგვასახლეს, აქ დავიბადეთ, იგი ჩვენი სამშობლოცაა და მას ქართველებისაგან იარაღით დავიცავთ.

აფხაზეთის ომის დროს ამერკაკასიაში რუსეთის საშედრო ოლქის ერთ-ერთი დიდი ჩინის, სომეხი ეროვნების პირს აქტიური სატელეფონო კავშირი ჰქონდა თბილისიდან სოხუმში უშუალოდ ვ.არძინბასთან, რომელთანაც, ერთ-ერთი საუბრის დროს ამ უკანასკნელს მისცა მტკიცე გარანტია, რომ ერთ-ერთი საოსტარი ოპერაციის დროს ქართულ ავიაციასთან ერთად ჰაერში ავიდოდა რუსული ავიაციაც. ცხადია, აფხაზური ავიაციის მუნდირით.

საქართველოს თავდაცვის სამინისტროში საშედრო მომარაგების საკითხს კურირებდნენ მაღალი ჩინის ოფიცრები ნასპეტიანი და კაზარიანი. 1992 წლისათვის აფხაზეთის ომის დროს თბილისში არსებული რუსულ საშედრო ბაზაში, რომელიც შემდგომ საქართველოს იურისდიქციად იქცა, ოფიციალური სამამხედრო ბაზაში, რომელიც ერთ-ერთ ადრიცხვით იმყოფებოდა და სომარ მოადგილეში იყო მოლაპარაკებული თანამედროვე სტანდარტების მქონე 200 ძმაკაცი ქვეშევრდომი. რამდენიმე საგანგებო და სპეციალური საშედრო სომარი მიწყობილია და მძიმე ტექნიკა. რომელთაგან აფხაზეთში მხოლოდ 7 ერთეული იბრძოდა, დანარჩენი კი გარკვეული სოლიდური გასამრჯელოს წყალობით კონტრაბანდის სახით გადავიდა სომხეთში და აღმოჩნდა ყარაბაღის ომის ველზე. ამგვარივე ფაქტი დაფიქსირდა აგრეთვე ქართულ ავიაციაშიც, როცა ერთ-ერთი ქართული ავიაგამანადგურებელი რუსი პილოტის საშუალებით ასევე კონტრაბანდის სახით დაეშვა სომხეთის აეროპორტში. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ერთ-ერთი უმაღლესი თანამდებობა ეკავა მაღალი ჩინის საშედრიოს, რომელიც „დაშნაკცუთიონის“ წევრი იყო.

უნებლიედ გვახსენდება გერონტი ქიქოძის შეტად საყურადღებო შთაგონება: „ჩვენ გვწამს, — წერდა იგი .სოციოლოგიურ ნაშრომში „ეროვნული ენერგია“, — რომ რომელიმე გურჯიანელი ან ატოცელი სომეხი შეიძლება სრულიად გულწრფელად თავს ქართველ მოქალაქეთ ჭვრეტდეს და საუკეთესო სურვილებით მიდიოდეს რესპუბლიკის ლაშქარში. მაგრამ საკმაოა, რომ ის ბრძოლის ველს მიუახლოვდეს, საკმაოა ათასი წლის წინათ დაშორებული თანამემამულეები დაინახოს და მათი ყიჟინი გაიგონოს, რომ ერთ წუთში სრულიად გარდაიქმნას და „ანდრიანიკასა“ და „ჰაირენიკის“ სახელების შთაგონებით მომოვარულივით ჰქროს ლაშქრის მხარეზე გადავიდეს. ამიტომ დღეს მართლაც არც ერთი სომეხი არ არის სანდო. ის რაც ხდება, არ არის დალატი ამ სიტყვით ტრივიალური მნიშვნელობით. ესაა რასიული სტიქიონის გამარჯვება, რომლის წინაშე სუსტია ცალკე პიროვნების შეგნება“ (იხ. გერონტი ქიქოძე. ეროვნული ენერგია. თბ. 1919. გვ. 201).

სომეხეთი, დღეს ჯერჯერობით, რუსეთის საკმაოდ ერთგული სტრატეგიული მიკავშირეა კავკასიაში. სომეხეთის დღეკანდელი ხელისუფლებისადმი ოპოზიციურად განწყობილი ძალები პირორუსულად არიან განმსჭვალული. საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ ისინი რუსეთის ფედერაციაში სომეხეთის კონფედერაციულ საწყისებზე შესვლასაც კი მოითხოვდნენ.

აქედან გამომდინარე ბუნებრივია, რომ კვლავაც გაგრძელდება სომეხ შოვინისტთა ანტიქართული იდეოლოგია და პრაქტიკა, საკარაუდოა გართულდეს კიდეც სომხეთ-საქართველოს კეთილმეზობლური ურთიერთობა. ამჟამად სომხეთის ოფიციალური თუ არაოფიციალური პრესა, ამას წინათ იურქეთთან და ასერბაიჯანიან ხელმოწერილ მთელ რიგ ეკონომიკური თანამშრომლობის შეთანხმებებს სომხეთის ეროვნული ინტერესების შელახად მიიჩნევს. რუსეთი „ნოვოსტი“ ამ ინფორმაციას ასაბუთებს, რომ ეთანხმება „ოფიციალურ ბაკუ“ ... ეროვნული ... ...

„საქართველოში სარევოლამ იმძლავრა, საქართველო უნდა გადაიხნას!“

ხუთი წლის მანძილზე მრავალი წერილი დაიწერა რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობისა და სტალინის, როგორც ერის მოღალატის შესახებ. მიუხედავად ამისა, ჯერ კიდევ ღრმად აქვს ფესვები გამჯდარი რუსოფილობას და სტალინის კულტს.

სამწუხაროდ, რუსოფილები და სტალინისტები ვერ ხედავენ, რომ გასაბჭოების დღიდან ქართველი ერის გენოციდი არ შეწყვეტილა.

1937 წელს გადაასახლეს სამასი ათასი ერის ნაღები — ყველაზე მეტი საქართველოდან იქნა დახვრეტილი და გადასახლებული; დიდ სამამულო ომში გაწვეულ იქნა ერის 22 პროცენტი. სტალინისტები 1956 წლის ტრაგედიასაც არად აგდებენ. ვერც იმას უფიქრდებიან, რატომ გადაიქცა ყირიმი, კერძოდ ქერჩი, ქართველი ჯარისკაცების სასაკლაოდ.

ავტონომიების შექმნაც ხომ „დიდ ქართველთანაა“ დაკავშირებული. მსოფლიოში არამკვიდრი მოსახლეობისათვის არასოდეს მიუნიჭებიათ ოლქისა და რესპუბლიკის სტატუსი. მსოფლიოს არც ერთ ერს არ ახასიათებს ერის გაწირვა ხიზანის საპატივცემულოდ. სტალინი, ორჯონიკიძე, მახარაძე ყველაფერს აკეთებდნენ თავისი ერის საზიანოდ და სხვათა საკეთილდღეოდ.

პროფესორი ნ.ნათაძე აღნიშნავს: „არც თემურ ლენგს, არც მურვან ყრუს, არც შაჰ-აბასს, არ მოუტანია იმდენი ზიანი საქართველოსათვის, რაც სტალინს“.

ერევნის თეატრის დირექტორმა ასლამახიანმა ასე უპასუხა ორამატურგ კიტა ბუაჩიძეს:

„Хорошин, добрый вы народ грузины. Вот вы терните у себя полмилиона армян, а мы в Ереване в интуристе, работал один Карселадзе, всего один единственный грузин, во всем городе, по пока мы его не вытурили, никак не могли успокоится“.

გულისტკივილით ამბობდა დიდი აკაკი: „ჩვენი ისტორია ვერ წარმოადგენს მისთანა შემთხვევას, რომ ქართველები დამარცხებულიყვნენ და მიზეზი დალატი არ ყოფილიყო, ვინ იყვნენ ეს მოღალატეები, ქართველისავე შვილები“.

1920 წლის 26 მაისს საქართველომ უკანასკნელად აღნიშნა თავისი დამოუკიდებლობის ორი წლისთავი.

1918 წლის 24 დეკემბერს, ჩიჩერინის მოადგილის, კარახანის ხელმოწერით გამოქვეყნდა ორი ცირკულიარი: ერთი, რომ საბჭოთა ხელისუფლება საქართველოს დამოუკიდებლობას არ ცნობდა, მეორე — ბრესტის ზავის ლიკვიდაციის გამო საბჭოთა ხელისუფლება არ ცნობდა უკრაინის დამოუკიდებლობას. მიუხედავად ამისა, საქართველოს ელჩმა გაბრიელ ხუნდაძემ მაინც სცადა მიეღწია იმისათვის, რომ იმპერიას ეცნო საქართველოს დამოუკიდებლობა. ამ მიზნით მას შეხვედრები ჰქონდა ზინოვიევთან, კამენევთან, ჩიჩერინთან, ნარიმანოვთან, მაგრამ ამაოდ. ჩიჩერინის მოადგილე ლიტვინოვმა აცნობა მოსკოვის ჩეკას, რომ საქართველოს საელჩო განაგრძობს ფუნქციონირებას და იმავე დღეს საქართველოს საელჩოს მთელი შემადგენლობა დააპატიმრეს.

ნ.ჟორდანია — რუსოფილი იძახდა: გარედან ძალით დაპყრობას, უმიზნო სისხლისღვრას, გვირჩევნია წავიდეთ ყოველ კომბინაციაზეო, თუნდაც საბჭოთა წყობილების დამყარებაზეო. მაგრამ ორჯონიკიძეს არ სურდა, რუსეთსა და საქართველოს შორის საქმე მშვიდობიანი გზით გადაწყვეტილიყო. მას სურდა იარაღით ხელში დაეპყრო საქართველო. ორჯონიკიძე და ჯუღაშვილი, ორივენი გრძნობდნენ, რომ ჟორდანიას საშუალებით ლენინი უსისხლოდ შეიერთებდა საქართველოს, მაგრამ მათ სურდათ აუცილებლად სისხ-

გაგრძელება მე-5 გვ.

ვიცოდეთ ჩვენი ისტორია

შარვაშიძეთა ეთნიკური ვინაობის შესახებ

ლევან შარვაშიძის ქართულწარწერიანი ბეჭედი

შარვაშიძეების, როგორც აფხაზეთის ყველაზე მძლავრი სათავადო სახლის ეთნიკური წარმომავლობის დადგენას გარკვეული სიცხადის შეტანა შეუძლია თვით აფხაზეთის ეთნიკური ისტორიის საკითხებში იმდენად, რამდენადაც მთიდან უცხო ტომების ჩამოწოლის და მთისწინეთსა და ბარში დამკვიდრებისას, ადგილობრივი სათავადო სახლები უმეტესწილად ინარჩუნებდნენ თავიანთ მდგომარეობას, შემოსეული უცხოტომელი მთიელები კი მათი ყმები ხდებოდნენ. ამ პროცესს თვალი გაედევნება შიდა ქართლში, სადაც კავკასიონის ქედს გადაღმიდან გადმოსული ოსები, რომელთაც ხმლით დაიკავეს შიდა ქართლის სოფლების ნაწილი, აქაური ქართველი თავადების ყმებად გადაიქცნენ.

მიუხედავად იმისა, რომ შარვაშიძეთა საგვარეულოს ზანური წარმომავლობა ეჭვს არ იწვევს (იხ. ა. ტუღუში, „შარვაშიძეთა ეთნიკური წარმომავლობის შესახებ“, გაზ. „საქართველო“, 1993, №15), მათი ეთნიკური ვინაობის საკითხთან დაკავშირებული ახალი მასალების გამოვლენა და სამეცნიერო მიმოქცევაში ჩართვა, საშური საქმეა.

ამ მხრივ ფრიად საყურადღებოა ჩემს მიერ, ზუგდიდის მუზეუმში მიკვლეული ერთი სფრაგისტიკული ძეგლი, რომლის მეცნიერულ ღირებულებას ზრდის მისი კავშირი შარვაშიძეთა საგვარეულოს ისტორიასთან.

მას შემდეგ, რაც შემოსეული აფსუების მიერ მკვიდრი მოსახლეობა — ზანურენოვანი აფხაზები ასიმილირებულ იქნენ და მათ საყოველდღიურო ენად დამპყრობლის ენა იქცა, ქართული ენა მაინც რჩებოდა აფხაზ თავადთა და აზნაურთა სამწიგნობრო, სამართლებრივ-სახელმწიფოებრივი ურთიერთობის ენად. შარვაშიძეთა კარზე, ისევე, როგორც სხვა აფხაზური ფეოდალური სახლების (მარშანიების, ძიაფშიპების, ანჩაბაძეების, ემხვარების, ჩქოტუების, მარღანიების და სხვათა) კარზე, ყველა სახის დოკუმენტი, თვით თურქეთის ან რუსეთის ხელისუფლებასთან მიმოწერის ჩათვლით, ქართულად დგებოდა (დღემდის მოაღწია ათობით ასეთმა დოკუმენტმა). შესაბამისად, ამ საგვარეულოთა თავკაცების (თავადების) ბეჭდებზე, რომლებითაც ამტკიცებდნენ წყალობისა და შეწირულობის სიგელებს, ფიცისა და ნასყიდობის წიგნებს თუ სხვა სახის დოკუმენტებს, წარწერებიც ქართულადვე უნდა ყოფილიყო. თუკი აფხაზ ფეოდალთა ამგვარი, ქართულწარწერიანი ბეჭდების არსებობაზე დღემდე ვარაუდით შეგვეძლო ლაპარაკი, დღეს უკვე ჩვენს ხელთ არის ერთი ასეთი ბეჭდის ანაბეჭდი, დასმული ზუგდიდის მუზეუმში დაცულ ერთ-ერთ დოკუმენტზე. ეს გახლავთ გადასახადის ამოწერის წიგნი, ბოძებული ლევან შარვაშიძის და მისი თანამეცხედრის მარიამ ინალიშვილის მიერ ჯვებეია შონიასადმი, რომლითაც ეს გლეხკაცი გათავისუფლებულ იქნა გადასახადისაგან (ზუგდიდის მუზეუმი, ძველი საბუთების ფონდი, საბუთი №7).

ამ დოკუმენტზე, რომელსაც სამწუხაროდ, თარიღი არ უზის, დასმულია ქართული სფრაგისტიკის მკვლევართათვის დღემდის უცნობი ბეჭედი ლევან შარვაშიძისა. ბეჭედი ოვალურია და მასზე ამოტვიფრულია სამსტრიქონიანი ქართული მხედრული წარწერა:

მნ ღა
შარვაში
ძე ლევან

ქარაგმების გახსნის შემდეგ წარწერა შემდეგნაირად იკითხება: **მ(ო)ნა ღ(უთი)სა შარვაშიძე ლევან.**

ლევან შარვაშიძე XVIII საუკუნის მეორე ნახევრისა და XIX საუკუნის დამდეგის ერთ-ერთი უძლიერესი ფეოდალი იყო აფხაზეთში. ის იმ მურზაყან შარვაშიძის შვილიშვილია, რომლის სახელიდანაც მომდინარეობს ხორონიმი **სამურზაყანო.**

ლევანის მამა ხუტუნია შარვაშიძე თავისი დროის ერთი იმ დეგმირთაგანი იყო, რომლებიც საქართველოს თავისუფლებისთვის ბრძოლას შეეწირნენ. ის 1757 წელს დაიღუპა თურქ დამპყრობლებთან, ხრესილის ველზე გამართულ ბრძოლაში. ისტორიკოს ნიკო დადიანის (...1780—1834) ცნობით, ხუტუნია შარვაშიძემ „სამაგალითო წარმოაჩინა მამაცობა და სიმხნე მისი, სადა სხვათა სახელოვანთა ბრძოლათა შორის ხრმლითა განჰკვეთა თექვსმეტი ოსმალონი და შემდგომად ოსმალთა რაზმთა შუაგულობასა მყოფი მოჰკლეს“ (ნ.დადიანი, ქართველთ ცხოვრება, თბ. 1962, გვ. 178).

ხუტუნია შარვაშიძის ომში დაღუპვის შემდეგ მისი საყმო, რომელიც, როგორც, ჩანს სამურზაყანოს მნიშვნელოვან ნაწილს მოიცავდა, მისი უფროსი ძის — ლევანის ხელში გადავიდა, მაგრამ სათავადო (ანუ საყმოს თავადის წილი) მიწების ერთი ნაწილი ხუტუნიას უმცროს შვილს სოლომონსაც რგებია. ამ უკანასკნელის შვილიშვილის, მანუჩარ შარვაშიძის მოხსენებაში, რომელიც მას 1846 წელს შეუდგენია, ნათქვამია, რომ ხუტუნია შარვაშიძის გარდაცვალების შემდეგ მის შვილთაგან „უხუცესს ძმასა ლევანს შეხვედრია წილად სოფელი ბედია, რომელსაც დღესაც ძენი მისნი ფლობენ და მფლობელად მყოფობისა გამო მის ლევანისა სამურზაყანოსა ზედა, საუფროსოდ დაუპყრია მას სოფელი ფახულანი და უმრწემსსა ძმასა სოლომონს და მასვე ბაბუასა ჩემსა რგებია სოფელი ბარბალა“ (საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი 4, ანაწ.2, საქმე 384, ფურც. 213).

მაგრამ ლევან შარვაშიძეს სამურზაყანოს გამგებლობა ეცოტავებოდა, ის ცხუმის ბეგობაზე ოცნებობდა, რადგან აფხაზ თავადებს შორის გაპირველკაცება ამ გზით იყო მხოლოდ შესაძლებელი.

ცხუმის ბეგი თურქეთის მოხელე იყო (და არა გურიის ან ოდიშის მთავრების მსგავსი ხელმწიფე, როგორც ეს შეცდომით ჰგონიათ ჩვენს ისტორიკოსებს), ურჩი სათავადოები (ზუფუ, გუმა, წებელდა და სხვა) და ნებიერი აფხაზური თემები მას, ცხადია, მორჩილებით არ ემორჩილებოდნენ, მაგრამ მიაგებდნენ პატივს, როგორც აფხაზ თავადთაგან უპირველესს.

ცხუმის ბეგად მაჰმადიანსღა სვამდნენ ოსმალნი და ამიტომ აბრიუცკის ცნობით, XVIII საუკუნის 70-იანი წლების დამდეგს ლევან შარვაშიძე გამაჰმადიანებულა და სანაცვლოდ ცხუმის ბეგობა უბოძებიათ ([Абрюцкий], Статистический взгляд на Абхазию, გაზ. „Тифлисские ведомости“, 1831, №24, გვ. 201).

ლევან შარვაშიძე თურქთა წინააღმდეგ 1771 წელს მოწყობილი აფხაზთა აჯანყების ერთ-ერთი მეთაური იყო. მის მიერ ცხუმის ციხის ხელში ჩაგდებამ შეაშფოთა ზუფუს, გუმის, აბჟუას (შვა სოფლის) აფხაზურ საყმოთა და ნებიერ თემთა თავკაცები და მათსა და ლევან შარვაშიძეს შორის განხეთქილება ჩამოვარდა. მას განსაკუთრებით ზუფუს თავადი ზურაბ შარვაშიძე დაუპირისპირდა. ლევანმა, როცა დარწმუნდა, რომ ცხუმის ციხის შენარჩუნებას ვერ შეძლებდა, ეს ციხე წლიური ოცი ქესა ჯამაგირის ფასად, კვლავ თურქებს გადასცა.

გერმანელი სწავლული იაკობ რაინეგსი, რომელიც ამ ხანებში საქართველოში ცხოვრობდა, გვაუწყებს, რომ თურქებმა ცხუმის ციხე სამოდე წლის შემდეგ მიატოვეს და ამიტომ, ლევან შარვაშიძემ, თვისტომთა რისხვის შიშით, ანაკლიის ციხეს შეაფარაო თავი (J.Reineggs, Allgemeine Historisch Topographisch beschreiburg der Kaukasus, II. SPB.1797, p.8)*, (იაკობ რაინეგსის ცნობების ქართული თარგმანი მომაწოდა ბატონმა გია გელაშვილმა, რისთვისაც მას მადობას ვწირავ.) მაგრამ შემდეგ, როგორც ჩანს, მას მოუხერხებია შარვაშიძეთა სათავადო სახლის სხვა თავკაცებთან შერიგება. 1779 წელს, ლევან შარვაშიძეს, როგორც სამურზაყანოს გამგებელს, სამეგრელოს სამთავროს ენგურს გამოღმა ნაწილის ასაოხრებლად შეკრებილ აფხაზურ საყმოთა და ნებიერ თემთა გაერთიანებული ლაშქრის მეთაურებს შორის ვხედავთ. ბესიკის ცნობით, ლევან შარვაშიძე ამ ლაშქრობაში მონაწილეობაზე მისსავე მეტოქეს — ზურაბ შარვაშიძეს შეუგულიანებია (ბესიკი, თხზულებანი, თბ. 1962, გვ. 123).

ეს ლაშქრობა, როგორც ცნობილია, რუხში გამართული დიდი ბრძოლით დამთავრდა. ქართველთა ლაშქარმა, რომელსაც იმერეთის მეფე სოლომონ დიდი და ოდიშის მთავარი კაცია II დადიანი სარდლობდნენ, სასტიკად გაანადგურა გათავხედებულ აფხაზთა ლაშქარი. ამ მარცხის შემდეგ ლევან შარვაშიძე კვლავ ოდიშის მთავარს ეყმო.

1805 წელს ლევან შარვაშიძემ თავის ბიძაშვილთან მანუჩარ ავთანდილის ძე შარვაშიძესთან ერთად ხელი მოაწერა სამურზაყანოს, როგორც სამეგრელოს სამთავროს შემადგენელი ნაწილის, რუსეთის მფარველობაში შესვლის ფიცს (Акты, II Тифл. 1868. стр. 527).

როგორც უკვე ითქვა, ცხუმის ბეგობის მიღების მიზნით ლევან შარვაშიძეს მაჰმადიანობაც კი მიუღია, მაგრამ ეს მხოლოდ თურქთა დასანახად, გარეგნულად გამაჰმადიანება ჩანს, რადგან ის სიკვდილამდე ქრისტიანულ სახელს ატარებდა და როგორც ვნახეთ, ბეჭედზეც მართლმორწმუნე ქრისტიანობის მაჩვენებელი ფორმულა „მონა ღუთისა“ ჰქონდა წარწერილი. ესეც არ იყოს, ლევან შარვაშიძის სულით ქართველობა იქიდანაც ჩანს, რომ ჯერ კიდევ 1770 წელს, ის რუსეთის მფარველობაში შესვლას ესწრაფოდა (რუსეთისაკენ ლტოლვა მისი ქრისტიანული სულისკვეთებაზე და შესაბამისად, ქართულ ცნობიერებაზე უთითებს, რადგან ამ დროის მთელ საქართველოში მართმადიდებლობა და ქართველობა გაიგივებული ცნებები იყო).

1770 წელს ლევან შარვაშიძის მიერ რუსეთის მფარველობაში მისი საგანგიოს მიღების შესახებ საქართველოში შემოსულ რუსთა ჯარების მთავარსარდალ ჰაინრიხ ტოტლებენისადმი თხოვნის წარდგენის შესახებ ცნობა, დაცულია სემიონ ბრონევსკის (1763-1830) თხზულებაში. საყურადღებოა, რომ ეს უკანასკნელი ლევან შარვაშიძეს რუხის, აყუსა და ბედიის მფლობელს უწოდებს (С.Броневский, Новейшия географичесия и историческия известия о Кавказе, ч. I, М, 1823, стр. 346).

ლევან შარვაშიძემ XIX საუკუნის დამდეგს დაკარგა სამურზაყანოს გამგებლობა. მის ნაცვლად ეს სახელო სამეგრელოს მთავარმა ბეჟან შარვაშიძეს უბოძა.

ლევან შარვაშიძე გარდაცვლილია 1805 წელს. ეს იქიდან ჩანს, რომ ამ წელს მას ხელი მოუწერია სამურზაყანოს რუსეთის მფარველობაში შესვლის ფიცისთვის, შარვაშიძეების უთარიღო (მაგრამ ყველა მონაცემებით, 1805 წელსვე შედგენილი) მეორე ფიცის წიგნის ხელმოწერისას კი ის უკვე ცოცხალი არ ყოფილა და ამიტომ მას ხელს აწერს მისი ქვრივი — მარიამ ინალიშვილი (ხელნაწერთა ინსტიტუტი, A —1130, გვ. 97V—98V).

ვგონებ, ლევან შარვაშიძის შესახებ წყაროებში მოძიებული ეს ცნობებიც საკმარისია იმის წარმოსადგენად, თუ რაოდენ მძლავრ და თავისი დროის აფხაზეთში მნიშვნელოვან კაცს ეკუთვნოდა ზუგდიდის მუზეუმში მიკვლეული ქართულწარწერიანი ბეჭედი, რომელიც კიდევ ერთი უტყუარი მამტკიცებელია იმისა, რომ შარვაშიძეები, სხვა აფხაზ ფეოდალთა დარად, თავს ქართველებად თვლიდნენ.

აბესალომ ტუღუში

ფრანგული პრესიდან

ისინი ყველანი ჩვენი შვილები იყვნენ

მოხუცმა კაცმა ლუდხანას შეაფარა თავი, რათა ქალიშვილის წინ არ ეტირა. აი, უკვე ორი დღეა იგი დანბლეინშია. ის და მისი ცოლი ბირმინგემიდან ჩამოვიდნენ. ახლა იგი ლუდს სვამს და ტირის. მას პეტერი ჰქვია. იგი 5 წლის შარლოტ დანის ბაბუაა.

მოხუცი ცრემლებს ყლაპავს და ყვება, რომ მის სიძეს ორ კვირაში უნდა დაეტოვებინა დანბლეინი, სადაც მივლინებაში იმყოფებოდა. ავეჯი და ნივთები ადრევე გააგზავნეს. შარლოტს სკოლასთან განშორება ენანებოდა. მან თხოვა მშობლებს, კიდევ ერთი კვირით დაეტოვებინათ ქალაქში. მოხუცი ამბობს, რომ მისი ქალიშვილი მტკიცე ხასიათის პიროვნებაა. დღეს ბარბარა განრისხებულია, რადგან ის ტიპი მკვდარია და ქალის ზიზღი და ბრაზი გამოსავალს ვერ პოულობს. ლუდხანაში პეტერის მეუღლე შემოდის. მკერდზე შარლოტის ორი წლის ძმა ჰყავს მიხუტებული. ქალი თავს ძალას ატანს, რომ ბავშვს ცრემლები დაუმალოს. გუშინ მან ბიჭს უთხრა, რომ მისი და აღარასოდეს დაბრუნდებოდა და რომ იგი ამიერიღან პატარა იესოს გვერდით იცხოვრებდა. დანბლეინის მცხოვრებნი არაფერს იშურებენ, რომ ოჯახს ტკივილი შეუმსუბუქონ. გუშინ საღამოს ბებიამ და ბაბუამ გოგონას ცხედარი გააპატიოსნეს. შარლოტს დანბლეინში დაკრძალავენ, მოგვიანებით კი ბირმინგემში გადაასვენებენ...

კაცი, რომელიც სახლიდან გამოდის, ავადმყოფია. დილის ცხრის ნახევარია, მარტის თვე, 13 რიცხვია, ოთხშაბათი. თომას უოთ ჰამილტონს კაპიუშონიანი მოკლე საწვიმარი აცვია. კაპუშონი მუდამ თავზე ახურავს, ამიტომ მის სახეს იშვიათად თუ მოკრავს კაცი თვალს. ამ დილით საწვიმარის, ჯიბეებში ორი მაგნუმის ტიპის რევოლვერი და ორი ნახევრადავტომატური ბრაუნინგი უწყვია. ამ 43 წლის კაცმა ძალიან კარგად უწყის, თუ რის გაკეთებას ეპირება. სტირლინგიდან, სადაც საკუთარი სახლი აქვს, თომასმა უამრავი წერილი დაუგზავნა ჟურნალ-გაზეთებს და ტელეკომპანიებს. ეს პარანოიით შეპყრობილი კაცის წერილებია, გამართული სტილით დაწერილი, რომლებშიც ავტორი საკუთარ უბედობას ყვება.

ათის თხუთმეტ წუთზე თომასი მანბლეინის სკოლის წინ აჩერებს მანქანას. მეკარე ადგილზე არ არის, ეტყობა, წუთით სადღაც გავიდა. ჰამილტონი კაპიუშონს არ იხურავს. ამ დილით მას ხმის დამხშობი ჩაფხუტი ახურავს, რომელსაც სასროლეთზე ხმარობენ. ჯერ კიდევ გუშინ, ბევრმა დაინახა სკოლის გარშემო უმიზნოდ მოხეტიალე თამასი...

იგი დერეფანს გაუყვა და ერთი-ორჯერ ჰაერში გაისროლა, შემდეგ ფანჯრებს დაუმიზნა იარაღი. და აჰა, იგი სკოლის სპორტული დარბაზის კარს აღებს. სწორედ ეს არის მისი მარშრუტის საბოლოო პუნქტი. სწორედ აქედან დაიწყო ყველაფერი. მთელი მისი ცხოვრებაც აქ არის, ამ ბიჭებთან. და ახლა იგი მოვიდა აქ, რათა შური იძიოს ქალაქზე, რომელმაც მას ეს ბიჭები გამოსტაცა. იგი ამ დარბაზში მოვიდა იმიტომ, რომ იცოდა თავის საშინელ საქმეს მთელი სისასტიკით სწორედ აქ აღასრულებდა. სამ წუთში მან თხუთმეტი ბავშვი და მათი მასწავლებელი, 44 წლის გვენ მეიორი გამოასალმა წუთისოფელს. იგი მიჯრით ისროდა, ორივე ხელში რევოლვერი ეკავა. იარაღი დაცალა, ისევ დატენა და სროლა გააგრძელა. ყოველივე ეს სამ წუთს გაგრძელდა. იგი გიმნაზიიდან გამოვიდა და კარებთან შეყოვნდა. ჩანდა, რომ ყოყმანობდა. შემდეგ უკან შებრუნდა. დარბაზში თორმეტი დაჭრილი ბავშვი იყო, მაგრამ თომასს მათი მოკვლა არ უცდია. ჰამილტონი იმიტომ დაბრუნდა, რომ თავი მოეკლა.

საშველად მოსულ ადამიანებს ფიზკულტურის დარბაზში დაჭრილი ბავშვები და სიჩუმე დახვდათ. ბავშვები ხმას ვერ იღებდნენ, არც ტიროდნენ, მათ ჯერ კიდევ ვერ გაიაზრეს თუ რა მოხდა. ზოგიერთი მათგანი კარებისკენ მიხოხავდა, ტყვიებით დაცხრილული ამხანაგების სისხლით მოთხვრილი, 5 წლის რობი მოკლული თანაკლასელის სხეულმა დაფარა.

შემდეგ მშობლები მოვიდნენ. პატარა ოთახში თავმოყრილნი, ისინი ელოდებოდნენ, თუ რას ამცნობდნენ შვილების ბედზე — ვინ მოკვდა და ვინ გადარჩა. ვიქტორიას დედა 3 საათი ელოდა ექიმების განაჩენს. ბოლოს, საოპერაციო ოთახიდან ქირურგი გამოვიდა. „ძალიან ვწუხვარ, ქალბატონო“... დედას ქვითინი წასკდა. ქვითინი გაბმულმა მოთქმამ შეცვალა. ჰამილტონის ბინაში პოლიციელებმა კედელზე გაკრული რვიდან ცამეტ წლამდე ბიჭების ფოტოსურათები ნახეს. ყმაწვილები ტანზემოთ შიშვლები იყვნენ. ჰამილტონი არავის უმალავდა ამ სურათებს, პირიქით, ერთ-ერთი ჟურნალის რედაქტორს სთხოვა გამოექვეყნებინა ისინი. რედაქტორმა იუარა. „გულისამრევი ფოტოებია“. — განუცხადა მან ჰამილტონს.

1974 წელს, 21 წლის ჰამილტონმა ბოი-სკაუტები კვირის ბოლოს ქალაქგარეთ გაიყვანა. ზამთარი იყო. ღამით ჰამილტონმა ცეცხლის დანთება აუკრძალა ბიჭებს, ორი მათგანი კი გვერდით მოიწვინა. ბიჭებს არავისთვის არაფერი უთქვამთ. მშობლებს მხოლოდ გაანდეს, რომ ღამე სასტიკად სცივოდათ. სხვა იმ ღამით არაფერი მომხდადა. ეს არის სწორედ საინტერესო: 22 წლის განმავლობაში, ჰამილტონს არაოდეს გადაუბიჯებია ზღვარისთვის. იგი ახერხებდა საკუთარი ბიწიერების გაკონტროლებას; ამიტომაც პოლიციას მამხილებელი საბუთები არ გააჩნია.

ჰამილტონი მაინც ჩამოაშორეს სკაუტებს და იმ დღიდან მოყოლებული მშობლებსაც გარკვეული ეჭვები აღეძრათ. იგი ახლა სკოლის ფეხბურთელთა გუნდს ავარჯიშებდა, ზაფხულობით კი ბიჭებს ბანაკში მიყვებოდა. ვარჯიშისას ჰამილტონი ბიჭებს მაისურების ჩაცმას უკრძალავდა. 1984 წელს ბევრმა მშობელმა გამოიყვანა შვილი ფეხბურთის გუნდიდან. ჰამილტონის რეპუტაცია საგრძნობლად შეირყა. ქალაქის მერიამ იგი სკოლას ჩამოაცილა. პოლიციაც საქმის კურსში იყო, მაგრამ, ჰამილტონს იარაღის ტარებისა და შენახვის უფლება მაინც გაუგრძელეს.

ჰამილტონი ცხელ ადგილიდან გადავიდა და იქაც საორტული ჯუფი ხელმძღვანელობა. ბავშვებს გოგონების მოლუბაზე უარი განაცხადა. ჯგუფში მხოლოდ ბიჭები იყვნენ. ჰამილტონს მოსთხოვეს, რომ ბიჭები მაისურებში ევარჯიშა. „ფეხბურთისთვის ასე სჯობს, — განაცხადა ჰამილტონმა, — მაისური ბიჭებს ბორკავს“.

ჰამილტონს არასოდეს ყოლია მეგობარი. იგი ერიდებოდა მისი ასაკის ადამიანებს, მათთან შეხვედრისას თავს უხერხულად გრძნობდა და საუბრისას თვალები განზე გაურბოდა, თითქოს რაღაცის დამალვას ცდილობსო. ბავშვობაც მეტად უცნაური და რთული ჰქონდა. იგი ბებიასა და ბაბუასთან აღიზარდა და მათ თავის მშობლებად თვლიდა. დედა კი ეუბნებოდა, შენი და ვარო. ჰამილტონმა მოგვიანებით შეიტყო, თუ ვინ იყო ვინ. ამ აღმოჩენამ მთელი ცხოვრება მოუშხამა.

ჰამილტონი ვერ ხვდებოდა, თუ რას ერჩოდნენ მას მშობლები. იგი მუდამ იმეორებდა, რომ მას ტყუილუბრალოდ სდებდნენ ბრალს. ან კი რაში იყო იგი დამნაშავე? ბავშვებს კარგად ეჭცევა, ცუდსაც არაფერს აკეთებს. ჰამილტონმა წერილების წერა იწყო. ათასობით წერილი გააგზავნა სხვადასხვა მისამართით. ერთი წლის წინ დედოფალს მისწერა და დახმარება სთხოვა, „რათა საზოგადოების თვალში გამართლებულიყო“. შეიძლება იმედოვნებდა, რომ დედოფალი წამსვე გამოქანდებოდა მის საშველად. იმ დილითაც დაუგზავნა წვრილები ინგლისური გაზეთების რედაქციებს, შემდეგ იარაღი აიღო და სახლიდან გავიდა...

მკვლელობა ოთხშაბათს მოხდა, კვირას კი დედოფალი ჩამოვიდა. იგი გიმნაზიას ეწვია და მშობლებს მიუსამძიმრა... ჰამილტონმა თავისას მიაღწია: მან აიძულა დედოფალი დანბლეინში ჩამოსულიყო.

(„პარი-მატჩი“ 1996 წელი)

ფრანგულიდან
თარგმნა
გიორგი ეკიზაშვილმა



კომენტარი

მეორე გვერდიდან

წინაშე, რომელთაც სათავეში ლომები აღმოაჩნდნენ. ვინც პოლიტიკის შესახებ მხოლოდ „სამიტებზე“ (ანუ უმაღლესი დონის პოლიტიკოსთა შეხვედრებზე) გაგონილი ე.წ. „მორიგე ფრაზებით“ მსჯელობდა, იმას შეიძლება ჰგონებოდა, რომ კავკასიასა და ამიერკავკასიაში შესაძლებელია რუსეთის იმპერიისა და დასავლეთის ინტერესთა ჰარმონია, და სათავისო ადგილი ამ ჰარმონიის წიაღში ეძებნა. მაგრამ ვინც ისტორიის კანონებს იცნობდა და, შესაბამისად, შეეძლო დღევანდელი პროცესების ძირშიც ჩაეხედა, იმისთვის ცხადი იყო, რომ ამ ინტერესთა ჰარმონია განჭვრეტად მომავალში არ დამყარდება. სხვა თუ არაფერი, იმ კითხვის დასმა მაინც შეეძლო, თუ რას ნიშნავდა ამ თხუთმეტოდე წლის წინ უკვე არსებული პროგნოზი, მესამე ომი თუ მოხდება. იგი ან ბალკანეთში, ან კავკასიაში დაიწყებაო, და იმის მიხვედრა, თუ რატომ და რის გამო შეიძლება ომი კავკასიიდან დაიწყოს (ღმერთმა დაგვიფაროს!). დღეს ეს ყველამ იცის: შუა აზიის რესურსები დღეს მსოფლიო სისტემაში, დასავლეთის გეგმით, კავკასიიდან უნდა ჩაერთონ (და არა რუსეთიდან, ჩინეთიდან ან პაკისტანის გზით, რომლის გარშემო ახლა დიდი ეკონომიკური რეგიონი ვითარდება). ეს ინტერესი დასავლეთისთვის პირველხარისხოვანი გლობალური ინტერესია და რუსეთს მისი შეკავება არ ეწადება. რა[illegible]ომა ჩეჩნეთის [illegible]ცეცხლით [illegible]ასპობაზე [illegible]ა[illegible]ა[illegible] თქვა, ეს ნიშნავს, რომ [illegible] ეგი თავის პოზიციას ამ ტერიტორიაზე უკვე თმობს. ამაში შევარდნაძის არც როლი, არც განჭვრეტა (პროგნოზი) არ ურევია. პროცესები მისი კურსის წინააღმდეგ წარიმართა და თუ რუსეთის იმპერია დღეს ამ რეგიონში კიდევ ხავსს ეჭიდება, რომ აფხაზეთის რკინიგზაზე კონტროლის შემომტკიცებით, საქართველო-სომხეთის ზონაში მაინც პოზიციები შეინარჩუნოს, ამის ძირითადი (თუ არ ერთადერთი) ფაქტორი ისაა, რომ მას აქ ზღაპრულად მრავალრიცხოვანი აგენტურის იმედი აქვს.

აგენტურა ისტორიას ვერ ცვლის. ამიტომ შევარდნაძის ოდნავ ნირშეცვლილი განცხადება — არა მხოლოდ რუსები გვებრალებიან, არამედ ჩეჩნებიც („10 აგვისტო რუსეთის პრეზიდენტმა ელცინმა გლოვის დღედ გამოაცხადა. მაგრამ გლოვობენ არა მარტო რუსეთში, არამედ საქართველოშიც დაღუპული რუსებისა და ჩეჩნებისათვის“. გავიხსენოთ, რომ სოხუმის დაცემა საქართველოს არ უგლოვია) — კავკასიური ერთობისა და თანამშრომლობის პოლიტიკა არაა და იგი მოვლენათა განვითარების დღევანდელ დინამიკაში ვერ ეწერება. დასკვნა, მე მგონი, ნათელია: თავის კურსში არაერთგზის ჩაჭრილი და რუსეთისგან სისტემატურად მოტყუებული და მართული შევარდნაძე საქართველოს პოლიტიკისთვის დღეს სახიფათო ანაქრონიზმია. საქართველოსთვის დღეს ამიერკავკასიაში რუსეთის მეტ-ნაკლებად დამოუკიდებელი „გავლენის სფეროდ“ ყოფნის პოლიტიკა კი არაა საჭირო, არამედ, ძალთა არსებითად შეცვლილ ბალანსზე დაყრდნობით, საკუთარ ფეხზე დგომის პოლიტიკა. აღარაფერს ვამბობ სუბიექტურ ფაქტორებზე, კერძოდ, პოლიტიკურ ლიდერთა პიროვნული მონაცემებისა და პირადი პოლიტიკური ჩვევების ფაქტორზე. პოლიტიკოსი, რომელიც თავისი ხელისუფლების შენარჩუნებისთვის მხოლოდ სხვათა ურთიერთდაბალანსების მეთოდს იცნობს — ერთ ბანდიტს მეორით „აბალანსებს“, ერთ კარიერისტს — მეორე კარიერისტით და ა.შ. — ძალას ვერ შექმნის. ვინც ძალას ვერ შექმნის, ის ვერც საერთაშორისო პოლიტიკის სუბიექტად გახდის თავის სამართავ ქვეყანას, არამედ მას მხოლოდ პოლიტიკის ობიექტად დატოვებს. საერთაშორისო პოლიტიკაში მხოლოდ ობიექტად ყოფნა კი ტერიტორიული კვეცის, ყვლეფისა და დამცირების ობიექტად ყოფნას ნიშნავს!

რაც შეეხება „მოქალაქეთა“ წითელ კავშირს და მათს მწვანე ავანგარდს, ამ არც თუ სასიქადულო თემაზეც ერთი-ორი სიტყვის თქმა გვმართებს. შევარდნაძე, როგორც საქართველოში რუსული პოლიტიკის გამტარებელი, რუსეთისთვის დღესაც შეუცვლელია (მისდამი ფართოდ გავრცელებული სიძულვილის მიუხედავად), რადგან იგი საქართველოში ერთადერთი და ამავე დროს უკანასკნელი პრესტიჟიანი პრორუსი და კომუნისტია. სხვა ფიგურას, რომელსაც პრესტიჟი წარსულში მაინც ჰქონია, ისინი ვერ შექმნიან. მაგრამ ეს როდი ნიშნავს, რომ მის შექმნას არ შეეცდებიან. მწვანეთა პოლიტიკური საქმიანობა ამ რამდენიმე წლის მანძილზე. აგრეთვე ის ფაქტი, რომ ამ უჩინარმა და პოლიტიკურად [illegible] უმნიშვნელო ჯგუფმა წინა პარლამენტში ათი ადგილი მოიპოვა, მეტყველებს, რომ მათ ჩრდილოეთიდან მხარდაჭერა აქვთ. ჩემი გათვლით, ეს სიმპათია მათ მილიტარული წრეებიდან უფრო აქვთ, ვიდრე სხვა სამსახურთა წრეებიდან (რადგან, რამდენადაც მსმენია, „გრვზ“-ს საარჩევნოებას წინა პარლამენტში მათი იმედი ჰქონდა ხოლმე, თუმცა, გოგუაძის სახით იქ ორივე ყურმოკვეთილი მეგობარი ჰყავდათ). დღეს მათი საპარლამენტო მოღვაწეობის ამოცანაა, ოპტიმალური საკანონმდებლო ბაზა შექმნან საქართველოს პოლიტიკური და სახელმწიფოებრივი დასუსტებისათვის, ერთის მხრივ (საქართველოს ფედერალიზაცია, ავტონომიზაცია, სამხედრო ბაზების მიცემა რუსეთისთვის და სხვა), და საქართველოს ეკონომიკური დექართველიზაციისთვის, საწარმოთა იურიდიულად ფიქსირებული გაკოტრებისათვის და რუსულ ფირმებზე მიყიდვისათვის, მეორე მხრივ. აქედან — მათი პირობაც „მილიონი სამუშაო ადგილის შექმნისა“ (ახალი მეპატრონის ხელში), თუმცა იმას აღარ ამხელენ, რომ ახალი მეპატრონის ხელში ჩვენს საწარმოებში (მიწის ჩათვლით) ძირითადად არაქართველი ელემენტი დასაქმდება.

მკითხველი შენიშნავდა, რომ წინამდებარე კომენტარში ლაპარაკი არაა არც საქმის მორალურ მხარეზე, არც ჩვენს ქვეყანაში დღეს გაბატონებული უცხო ძალის წინააღმდეგ ჩვენი ბრძოლის ალგორითმზე. ამ თემებს ცალკე შევეხებით. აქ იმასღა მოგახსენებთ, რომ ჩვენი ხსნის ოპტიმალურ იურიდიულ ფორმად პარლამენტის ვადამდელი არჩევნები მიმაჩნია.

ნ. ნათაძე

ომის ქვეყანა

ორი წელია, რაც ჩეჩნეთის ომი დაიწყო. მისი შეჩერება ვერანაირად ვერ მოხერხდა, არა იმის გამო, რომ არ შეუძლიათ, არამედ იმის გამო, რომ არ სურთ.

თვეში ერთხელ რუსეთის პრეზიდენტი აცხადებს: „მე გავეცი განკარგულება, არ დაიბომბოს“. ამ სიტყვების შემდეგ მოფრინავენ ამოუცნობი თვითმფრინავები და ბომბავენ ჩეჩნეთის ქალაქებს.

თვეში ერთხელ რუსეთის პრეზიდენტი აცხადებს: „ოპერაციის სამარა ნაწილი დასრულებულია, დარჩნენ ბანდიტთა ჯგუფები, რომელსაც შინაგან საქმეთა სამინისტრო მიხედავს“. ამ სიტყვების შემდეგ იწყება ფართომასშტაბიანი სამარა ოპერაციები.

პრეზიდენტი აცხადებს, რომ დადგა ჰუმანიზმის ეპოქა. მეორე დღეს იწყება ჰიტლერული ტიპის დაუნდობელი „წმენდა“. „ზონდეროფიცერები“ ტყვიამფრქვევებით... დაზოცილი ბავშვები...

ხელისუფლება ლაპარაკობს ჟურნალისტთა შესახებ, რომელთაც სული მიყიდეს დედაევას დოლარებს, მაგრამ ტელევიზიათა ეკრანებიდან დანგრეულ სახლებს, დახოცილ ქალებს, დამახინჯებულ ბავშვებს. ოფიციალური პირები აცხადებენ, რომ ჩენნები თვითონ აფეთქებენ საკუთარ სახლებს, რომ ლაფში ამოსვრიან რუსული არმიის სახელი. თვითონ ხოცავენ თავიანთ ქალებსა და ბავშვებს, თავად ხვრეტენენ მოხუცებს.

* * *

ზოგჯერ ხერხდება უტყუარი ფაქტებით ხელისუფლების კედელთან მიმწყვდევა. მაშინ ისინი იწყებენ უცნაური ფრაზების ბურდღუნს პროვოკაციაზე. დამნაშავეა ომის პარტია (ჩერნომირდინი უღრიალებდა ტელეფონში ბასაევს „ნუ ნამოეგებით პროვოკაციაზე! მანდ არიან ისინი, ვისაც ძალუძთ პროვოკაციები“). მაგრამ „იქ“, ბუდიონოვსკში იყვნენ ერანი, სტეპაშინი, ამოროვი (გრასოკა მაშინ იქ არ გაუშვეს, ხათვალეს, რომ მის გარეშეც საკმარისია აკვნენს).

ეს ომის პარტია უშლის ხელს მშვიდობიან მოლაპარაკებებს, აფეთქებს გენერალ რომანოვს, ამარაგებს ჩეჩნებს რუსული იარაღით. ეს ომის პარტიამ შეაჩერა ოცდათ ტრილიონ რუბლზე მეტი. დახოცა რამოდენიმე ათასი რუსი ჯარისკაცი და ოფიცერი. ათობით ათასი მოქალაქე.

„ომის პარტია“ — ეს ტერმინი იხმარება სისტემატურად პოლიტიკოსების, ჟურნალისტების და სხვათა მიერ.

და ვერავინ ამნევს პარადოქსს. ომის პარტია უკვე აღარ არის და ომი კი გრძელდება. ელცინმა ომის პარტიასთან ბრძოლისათვის ყველაფერი გაკეთა. მან გაანთავისუფლა ყველა, ვინც, საზოგადოების აზრით, ხელმძღვანელობდა ამ პარტიას.

„საზოგადოებრივი აზრი“ — მეტად მატერიალური რამაა. ყოველთვიურად ქვეყნდება რეიტინგი „რუსეთის 10 წამყვანი პოლიტიკოსისა“. ამ ათეულში, რომელშაც შედიან „განსაკუთრებით უარყოფითად ზეგავლენის მქონე პიროვნებები“ მთელი წლის განმავლობაში ლუდაევის შემდეგ მოდიოდნენ: გრანოვი, კორჟაკოვი, მარკუკოვი, სტეპაშინი, ეგოროვი, ილიუშენკო. აქედან გამომდინარე, ყველაზე გავლენიანი რუსეთის მინისტრები ახდენენ უარყოფით ზეგავლენას.

მათაც კი, რომელთაც ვერ გაბედეს ხმამაღლა დაეხახელებინათ გვარები, ეამოდათ, რომ ომის პარტია ესაა — გრანოვი, სოსკოვეცი, კორჟაკოვი, სტეპაშინი, ბარსუკოვი, ეგოროვი, ლობოვი. ისინი აგზავნიდნენ სამხედრო ნაწილებს, ხელმძღვანელობდნენ ოპერაციებს, ხოცავდნენ ადამიანებს (ადამიანთა დანაკარგის შესახებ ოფიციალური ინფორმაციისა არავის სჯერა).

მაგრამ ეს პიროვნებანი ხომ ყველა განთავისუფლდა თანამდებობიდან. უკანასკნელი მათგანი განთავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან ივნისში. ომი კი გრძელდება. ახალი, უძლიერესი ომის აფეთქება 4 ივლისს, ელცინის დემოკრატიის გამარჯვების მეორე დღეს დაიწყო ჩეჩნეთში.

ეს პრეზიდენტმა დაიწყო ომი, ეს ჩერნომირდინი და მისი მთავრობა აწარმოებს და აფინანსებს ამ ომს. ტუმანოვმა და მისმა კონსტიტუციურმა სასამართლომ აღიარა ეს ომი კანონიერად. ყველა ეს პიროვნება დარჩა თავის თანამდებობაზე.

* * *

ხალხმა აირჩია ის პრეზიდენტი, რომელიც ომს აწარმოებს.

სახალხო დეპუტატებმა დამტკიცეს ჩერნომირდინი, [illegible] 420 დადებითი ხმა. სახალხო დეპუტატებმა [illegible] ცეს პრემიერ-მინისტრი. ის, რომლის მთავრობაც აწარმოებდა და რომელსაც გამიზნული აქვს კვლავ გააგრძელოს ომი. (უფრო მეტიც, დეპუტატები ზრუნავდნენ იმაზე, რომ ხმის მიცემის პროცედურა საადვილოდ დარჩენილიყო. მათ გააკეთეს ყველაფერი, რომ არც ჭაღალდზე, არც კომპიუტერში არ დარჩენილიყო კვალი).

სახალხო დეპუტატები ირჩევენ პრემიერს და ეშინიათ, რომ ხალხისათვის სათელი გახდება მათი პოზიცია.

არმია სისტემატურად წუწუნებს, რომ მათ ხელს უშლიან, არ აძლევენ „საქმის ბოლომდე მიყვანის“ საშუალებას. ღმერთო! ვინ უშლის მათ ხელს? მათ დააყარეს ჩეჩნეთს მალაიონობით ბომბი და რაკეტა. ჯერჯერობით არ მისცეს მხოლოდ ატომური ბომბის გამოყენების საშუალება. ამ დღეებში შინაგან საქმეთა მინისტრს მოადგილე აცხადებს, რომ მას ესაჭიროება ასორმოცდაათი ათასი ადამიანი, რათა შეანარჩუნოს გრიზნო. გამოდის, რომ მალაიონიან მოსახლეობაზე რუსეთს ჭირდება მილიონი ჯარისკაცი, ე.ი. ყოველ მოხუცსა და ჩვილ ბავშვზე ოთხი ჯარისკაცი.

... ერთის მხრივ — პრეზიდენტი, დეპუტატები, მათი ამორჩევლები, სახალხო არმია, ... მეორეს მხრივ — ჯარისკაცთა დედები, ომის წინააღმდეგ გამართული მიტინგები, რომელიც ათას კაცსაც არ ითვლის.

ეს არ არის ომის პარტია, ეს ომის ქვეყანაა.

ალექსანდრე მინკინი

„ნოვაია გაზეტა“
№30, 1996.

აგვისტოს ბრძოლები ჩეჩნეთში — ვაჟკაცობის და იდიოტიზმის ნაერთი

ჯერ კიდევ გუშინ ის ვიღაცის შვილი იყო

მივხედოთ დამოუკიდებელ ტელეკომპანიათა ტრაგიკულ ბედს

ხელისუფლების მიერ გამოცხადებულ დემოკრატიული პროცესების ფონზე საოცარი ამბები ხდება. რაც მეტი დრო გადის, მით უფრო ილახება პრესისა და ჟურნალისტთა უფლებები, რომლებსაც დაცვის არავითარი გარანტიები არ გააჩნიათ. ალბათ, პრესის შესახებ ახალ კანონში ეს ხარვეზები აუცილებლად აღმოიფხვრება. მანამდე კი...

მკითხველის ყურადღება ამჯერად გვინდა იმ დამოუკიდებელ ტელეკომპანიათა ბედზე გავამახვილოთ, რომლებიც უკანონობის მსხვერპლნი შეიქმნენ.

საქართველოში დემოკრატიის პირმშო „იბერვიზია“ გახლდათ, რომელიც ახალგაზრდული ტელეკომპანიის სახით 1989 წელს ჩამოყალიბდა. ეთერში კი პირველად 1992 წლის გაზაფხულზე გავიდა და ორი წელი იარსება. ამ ხნის მანძილზე კი მან ჟურნალისტთა ის ახალი თაობა აღზარდა, რომელიც დღეს მოქმედ ტელეკომპანიებში მკვეთრად გამოირჩევა. ორიგინალური გადაცემების მომზადებისთვის „იბერვიზია“ მანას ფესტივალის პირველი ლაურეატი გახდა. გვახსოვს გადაცემებიც და სტატიებიც, თუ გია გოგიბერიძის ხელმძღვანელობით, ყველასგან დამოუკიდებლად, კერძო პირებმა როგორ შექმნეს ტელეკომპანია. გვახსოვს არსებობის ერთი წლისთავისადმი მიძღვნილი საღამო სასტუმრო „მეტეხის“ საკონცერტო დარბაზში. ისიც გვახსოვს, თუ როგორ აფასებდნენ ამ ფაქტს ცნობილი საზოგადო მოღვაწეები. სამწუხაროდ, შემდგომში „იბერვიზიის“ ბედით არავინ დაინტერესებულა და ყველაფერი დავიწყებას მიეცა...

ასე წარმატებით დაწყებული საქმე მოულოდნელად საპირისპიროდ შეიცვალა. 1994 წლის გაზაფხულზე „იბერვიზია“ მხედრიონმა მიიტაცა: მომუშავე პერსონალი გამოყარა, ხოლო ტელეკომპანია უკანონოდ სრულიად სხვა პირებს თავიდან დააფუძნებინა.

დავიწყებას მიეცა გია გოგიბერიძის ღვაწლიც, როდესაც მან დეკემბერ-იანვრის ცნობილი მოვლენების დროს, საქართველოს ტელევიზიისათვის მამუკა არეშიძეს „იბერვიზიის“ ტექნიკა (ორი სამონტაჟო მაგიდა, რამდენიმე ვიდეოკამერა და სხვა) გადასცა. სწორედ ამ პრობლემათა დაძლევით, საქართველოს ტელევიზიას გადაცემების მომზადების საშუალება მიეცა. ასევე მივიწყებულ იქნა „იბერვიზიის“ ღვაწლი აფხაზეთისა და შიდა ქართლის პრობლემების გაშუქებაში. საკითხავია, სად წავიდა ოზურგეთში, ქუთაისში, თერჯო-

გაგრძელება მე-9 გვ.

მივხედოთ დამოუკიდებელ ტელეკომპანიათა ტრაგიკულ ბედს

მეშვიდე გვერდიდან

ლასა და ხაშურში მომუშავე ფილიალები თავისი ტექნიკით? აღსანიშნავია ისიც, რომ 1990 წლისთვის თითქმის დამთავრდა სოხუმის ფილიალის შშენებლობაც.

„იბერვიზიის“ პრობლემის გარკვევას მოსახლეობას ბატონი შოთა კვირაიაც შეპირდა, მაგრამ შედეგი ჯერჯერობით არ ჩანს. სამაგიეროდ, „მხედრიონის“ ყოფილ შტაბ-ბინაში დალუქულ აპარატურას ქალაქის პროკურატურამ, გია გოგიბერიძის საქმის გამოძიების პერიოდში მხოლოდ დახედა. საკვირველია, რომ ხელისუფლება და სამართალდამცავი ორგანოები ჯერჯერობით არც აპირებენ, ან ვერ „იცლიან“ მიტაცებული ტელეკომპანიის დაბრუნებას კანონიერი მფლობელისათვის. საინტერესოა, როდემდე გასტანს ეს გაურკვეველი ვითარება?

სამწუხაროდ, „იბერვიზიის“ ბედი სხვა ტელეკომპანიებმაც ვაიზიარეს. ჯერ „თამარიონი“ განადგურდა, რომლის აპარატურის დაწვა ანძაზე დღემდე ბურუსითაა მოცული. ახლახან კი, ფიქრია ჩიხრაძემ სასამართლოს დახმარებით „რუსთავი-2“ ტელეარხი დაისაკუთრა. ამ პრობლემებზე ახლახანს თავის გადაცემაში მართებულად ისაუბრა „საქართველოს ხმამ“.

ჩამოთვლილი ფაქტები იმაზე მეტყველებენ, რომ არსებობს ძალა, რომელსაც დემოკრატიის გაძლიერება არ სურს. ამ საკითხის მოგვარებას პრეზიდენტმა დიდი ყურადღება უნდა დაუთმოს, თორემ სასიკეთო ძვრები წყალში ჩაიყრება.

ჩვენ გვესმის, რომ ქვეყნის შშენებლობის პერიოდში არ შეიძლება იურისპრუდენცია სრულყოფილი იყოს, ვინაიდან ჯერ კიდევ კომუნისტური კანონმდებლობა მოქმედებს და ახალი სამართლებრივი მექანიზმის ჩამოყალიბება ახლა იწყება. ეს პრობლემა დროულადაა მოსაგვარებელი. თუკი დამოუკიდებელი ჟურნალისტიკა არ გვექნება, რომელ დემოკრატიაზე შეიძლება ლაპარაკი? ეს მაინ უფრო საკვირველია, როდესაც ხშირად ეწყობა საერთაშორისო სემინარები ადამიანთა უფლებების დაცვისა და მასმედიის შესახებ. სამწუხაროდ, ჩვენი საზოგადოებისათვის უმადურობა და გულგრილობა დამახასიათებელი, ძნელადსამკურნალო სენი გახლავთ.

ვფიქრობ, აღძრული პრობლემა უფრო ფართოდ და დეტალურად უნდა გააშუქოს მასმედიამ. დუმილი კი უკვე დანაშაულის ტოლფასია. ხოლო „იბერვიზიის“ ხელმძღვანელობის მიერ, სასტუმრო „მეტეხში“ მიწვეულ საზოგადოებას, რომელთა შორის იყვნენ ცნობილი პოლიტიკური მოღვაწეები, სხვადასხვა პარტიათა წარმომადგენლები, მთავრობის წევრები (ამ ზეიმს საქართველოს პატრიარქი ილია II ესწრებოდა), განსაკუთრებით კი ჟურნალისტებს, მინდა მოვუწოდო: თავიანთი პროფესიული და ზნეობრივი მოვალეობის შესრულება მართებთ, ვინაიდან მხარდაჭერა მხოლოდ ბანკეტებზე დასწრებით არ გამოიხატება და გაჭირვებაში მიტოვებულ „იბერვიზიას“ სიტყვა მაინც შეაწიონ.

გუბაზ მეგრელიძე

„საქართველოში საქართველომ იმძლავრა, საქართველო უნდა გადაიხნას“

მეხუთე გვერდიდან

ლი, სისხლი სწყუროდათ საქართველოსი (ლ.სანიკიძე — „მესამე დასის საქართველო“).

1924 წლის აჯანყების განეიტრალება შეიძლებოდა უსისხლოდ, რომელსაც მხარს უჭერდა ქართველი ბოლშევიკების უმრავლესობა ორჯონიკიძის გარდა. „საბოლოო სიტყვა სტალინმა წარმოთქვა და სარკასტული ღიმილით მოგვმართა, — იგონებს ალექსანდრე პაპავა: „თუ თქვენ ასეთი ბრიყვები იყავით, ვერ წარმომედგინა, როგორ შეიძლება ასეთი დიდებული შემთხვევის ხელიდან გაშვება, საქართველომ უსისხლოდ მიიღო რევოლუცია (არად აგდებდა 1921 წლის თებერვალში დახოცილ ქართველობას, ახალგაზრდა იუნკრების სიცოცხლეს და 1922-23 წლებში დახვრეტილთა სიცოცხლეს). ახლა საბაბი გვეძლევა მას სისხლი გავადინოთ, თქვენ კი ასეთ სულმდაბლობას და ლაჩრობას იჩენთ, რაც უფრო მასობრივი იქნება გამოსვლები, მით უკეთესი, არავინ დაზოგოთ“ (ეს თქვა 1924 წ. კისლოვოდსკში გამართულ თათბირზე).

მარტო 1924 წელს დახვრეტილ იქნა 12 ათასზე მეტი ქართველი.

ცხრა თვე ებრძოდნენ ლენინს სტალინი და ორჯონიკიძე საქართველოს დაპყრობის თანხმობის მიღებაზე.

1920 წლის 14 დეკემბერს ორჯონიკიძემ კავკასიის ბიუროს, მოსკოვისაგან ფარულად, მიაღებინა დადგენილება, რომ საქართველოს მშრომელებს საბჭოთა ხელისუფლების დასამყარებლად ჰირდებათ სამხედრო დახმარება, ლენინმა უარი შეუთვალა.

1921 წლის 2 იანვარს ორჯონიკიძემ და კიროვმა, კავკასიის ბიუროს საბელით კიდევ გაეგზავნენ წერილი ლენინს და კვლავ მოითხოვდნენ საქართველოში ჯარების შეყვანას. „ასე ებრძოდნენ ლენინს სერგეი და სერგო საქართველოში ჯარების შეყვანის თაობაზე“ — (ლ.სანიკიძე). საბაბი ხომ უნდა გამოენახათ და გამონახეს — სომხეთით დასახლებული ქართული კუთხე ლორე ავჯანყა სერგომ „თბილისში მოკალათებული კონტრევოლუციური მთავრობის წინააღმდეგ, ვითომ „აჯანყებულმა მშრომელებმა დახმარება თხოვეს წითელ არმიას“.

ახლა ვნახოთ, რა ცნობებს აწვდიდა სტალინი ლენინს: „საქართველოს მთავრობას თურქეთთან მოლაპარაკება დაეწყო რუსეთის აგრესიის წინააღმდეგ დახმარების თხოვნით და სამაგიეროდ არტაანისა და ართვინის გადაცემის აღთქმით“, კიდევ ვითომ „ეროდანიას მთავრობამ უარი თქვა საქართველოს რკინიგზაზე გაატაროს სომხეთის დასახმარებლად პურით დატვირთული მატარებელი“.

1920 წლის ნოემბერში სტალინმა ვლადიკავკაზიდან ლენინს შეატყობინა: „საქართველოს მენშევიკური მთავრობა ებერგიანზე თანდასმენილ [illegible] ... გააქტიურება მოყვებაო“.

1920 წლის 15 დეკემბერს მოწვეულ იქნა კავკასიის ბიუროს გაფართოებული სხდომა — აქ ვრცელი მოხსენებით გამოვიდა სერგო და „დაასაბუთა“, რომ „საქართველო იმპერიალისტურ კონტრევოლუციურ ძალებთან ერთად საბჭოთა რუსეთზე თავდასხმისათვის ემზადებაო“, — ახლა კი ირწმუნა ლენინმა, რომ საჭიროა საქართველოს დასჯა, რომ საქართველო საშინლად გათავხედდა“.

ლენინის თხზულებათა 42-ე ტომში უკვე გარკვევითაა ნათქვამი: „მოემზადონ საქართველოსთან ომისათვის“.

როგორ ატყუებდნენ ხალხს საბჭოთა ხელმძღვანელები, სიცრუის მორევში ითრევდნენ მილიონებს. ორივე პიროვნებას, რომლებიც ერთმანეთს ეჯიბრებიან საქართველოს გენოფონდის განადგურებაში — ძეგლებს უდგამს საქართველო. მახსოვს რა ზარზეიმით აღინიშნა ს. ორჯონიკიძის დაბადების 100 წლისთავი. მუშთაიდის სამკითხველო დარბაზს დიდხანს „ამშვენებდა“ თეთრ ცხენზე ამხედრებული სერგოს პორტრეტი, მე-11 არმიას რომ მოუძღოდა საქართველოს დასაპყრობად.

სტალინის ეკუთვნის ფრაზა: „საქართველოში სარეველამ იმძლავრა, საქართველო უნდა გადაიხნას“. სარეველასაც მოვსპობთ და საქართველოსაც გადავხნავთ, — ფიცი მისცა ლავრენტი ბერიამ. შემდგომ პერიოდი გვიჩვენებს, რომ ეს ფიცი პირნათლად შეასრულა ლავრენტიმ, თითქმის მთლიანად მოსპო საქართველოს ინტელიგენცია.

სტალინი ეკითხება ორჯონიკიძეს: „რა ძალები დაგვჭირდება, რომ დავამარცხოთ საქართველო. შეგვიძლია თუ არა ვიჭონოთ სრული გამარჯვების იმედი“.

1921 წლის 15 თებერვალს სტალინი აცნობებს ტელეგრაფით ორჯონიკიძეს: „ახლავე შეუტიე, დასტურია, აიღე ქალაქი“.

საქართველოსთან საომრად აზერბაიჯან-სომხეთივით ერთი — მე-11 არმია არ იყმარეს და საქართველოს სამი მხრიდან მიუსიეს ლეკიონები, დარიალით — ლევანდოვსკი, მამისონით — კიროვი, აჭარის მხრიდან-ყლობა. როცა დახოცილი ქართველი ვაჟკაცები ჩამოასვენეს, სამხედრო ტაძარში დაკრძალეს, დაკრძალვას თურმე სტალინის დედაც ესწრებოდა და მისთვის უთქვამთ: „აი, შენი შვილის ნამოქმედარიო“, — იგონებს სტალინის სიყრმის მეგობარი სოსო ირემაშვილი.

მთავარია სამშობლო და იმ ერზე ზრუნვა, რომელმაც გშობა — ამ ერის სიყვარულით დაავადებული უნდა იყო ილიასავით. ამიტომ ამბობს აკაკი: „იმას ვეტყვი მამულიშვილს, საეროვნო ტრაპეზე, ვინც უბიწოდ დებს, მცირედსაც წვლილს“.

ციალა ბრეგვაძე

შახსენება

იყო ასეთი კაცი

ჩვეულებრივი, უპრეტენზიო, უწყინარი ბუნების, ალალმართალი, კაცური კაცი, მეტად ყურადღებიანი და გულისხმიერი, მეგობართა მოსიყვარულე და მათი ჭირ-ვარამის გამზიარებელი პიროვნება. ის ყოველთვის დაულალავად და პატიოსნად ემსახურებოდა თავის ხალხს. შრომა და შრომისმოყვარეობა იყო ყოველთვის მისი ცხოვრების თანამგზავრი. ამ თვისებებს შეალია მთელი თავისი სიცოცხლე და ისე წავიდა წუთისოფლიდან, რომ საკუთარი ოჯახიც კი არ შეუქმნია. მშობლები და ერთადერთი 16 წლის დაიკოც რომ მიაბარა მარადისობას, დარჩა მარტოდ-მარტო და ტრაგიკულად გაატარა დარჩენილი სიცოცხლე. ძნელი იყო მისთვის სიცოცხლესთან განშორების წუთები...

დიახ, იყო ასეთი კაცი გივი ილიას ძე ისაკაძე. რომელიც 1925 წელს დაიბადა ქ.თბილისში. რაჭიდან გადმოსახლებულ შრომისმოყვარე ადამიანთა ოჯახში. 1942 წელს წარჩინებით დაამთავრა თბილისის ოცდამეცამეტე საშუალო სკოლა, 1951 წელს — ი.ბ.სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტი ირანის განხრით (საერთაშორისო ურთიერთობათა ისტორიის სპეციალობით).

უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ მუშაობა დაიწყო თბილისის ი.ბ.სტალინის სახ. რაიონის სასამართლოში და პარალელურად სწავლობდა უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე.

ყველგან, სადაც მას უმოღვაწია, უმწიკვლო და თავდადებული მუშაობისათვის მიღებული ჰქონდა ჯილდოები და საპატიო სიგელები.

გავიდა ხუთი წელი მისი გარდაცვალებიდან, მაგრამ ტკივილი, რაც მისმა განშორებამ მეგობრებს მოგვაყენა, ისევ ახალი და შეუხორცებელია.

ნათელში ამყოფოს მისი სული მამაზეციერმა!

ვ. გურგენიძე
გრ. ჯინჭარაძე

1996 წლის 17 სექტემბერს, 17 საათზე ტარდება ს/ს-ბა „კეგელი“-ს აქციონერთა კრება.
დღის წესრიგი:
რვა თვის შედეგების განხილვა.



თარაზულად: 5. ზემერების მიერ დაარსებული ძველი ქალაქი ზემოდნარეთში. ეკვრატის ხანაპირიზე; 6. შექსიკის ინდიელთა ერთ-ერთი ყველაზე მრავალრიცხოვანი ხალხი: 7. ხვადასტვა ქვეყნის ვალუტის შეფარდება იქრითი: 8. სახელმწიფოთა, პარტიათა და სხვათა შეთანხმება. კავშირი; 10. ქიმიური ელემენტი: 12. ხიფელი ბირჯომის რაიონში: 14. იტალიელი ფერწერი: 16. კენერიელი დაკადება: 17. ცვავლთა მიერ გამოყოფილი ტკბილ წყენი: 18. წვეულება: 19. შუა აზიის უდიდესი მდინარე: 21. ძაწის ფართობის ხარისი მეტრული სისტემაში: 22. ზოგი ორგანოს ან ქსოვილის კვდომის კერა, გაჩენილი სისხლის მაწოდების შეწყვეტით: 26. საუბარი ჟურნალისტთან, კორესპონდენტთან პრესაში გამოსაქვეყნებლად ან რადიოთი (ტელევიზიით) გადასაცემად: 27. მექანიზმის, ხელსაწყოს აგებულების ან მოქმედების ძირითადი თავისებურება: 28. რეგული ხალხური სპორტსაკეთილების და ჰუსკალური ფოლკლორის ჟანრი: 29. ტექნიკაში, ფერწერაში და სხვაგან გამოყენებული შესქელებული რეწვენი ზოგი ტროპიკული ჩვენარისა.

შვეულად: 1. ავსტრიელი კომპოზიტორი (XIX ს.): 2. პერსონაჟი იტალიური ტელესერიალისა „რეალი“: 3. მდინარე ავსტრალიის აღმოსავლეთ ნაწილში: 4. ცხოველების მდედრობითი სასქესო უჯრედი: 7. ფეხის ფრჩხილების საგანგებო გაწმენდა-გაპრიალება, ფეხზე კოურების მოცილება: 9. ბრმა ნაწლავის დანამატი: 10. ქალის სახელი: 11. პარუსკვის საკეები ბალახი: 12. ნიხრი ანუ... 13. კაითლიკური მონასტრის წინამძღვარი: 14. მწერი: 15. ორმარცვლიანი ხეხილი ანტიკურ ლექსიწყობაში: 20. მსახიობი ანუ... 23. ხალის გაწმენდა: 24. კუნძა ანუ... 25. პროვინცია ჩილეში.

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები

თარაზულად: 3. შეკარდნაძე: 5. წიქარა: 6. ბალკანი: 7. შრიმანი: 9. კოტრელი: 10. ასპინძა: 13. ბაშალი: 14. კოშუბეი: 18. ბოდლერი: 19. ლახვარი: 21. მინდია: 22. ბარბა: 25. თიმაქე: 30. ოჩიაური: 32. მდედლიაშვილი. 33. ბაქრაძე: 37. „ათინარი“: 39. ანდრეოტი: 41. „ეუბერ“: 42. ბარაძე: 43. წიკლაური: 44. ესკალუნი.

შვეულად: 1. შარია: 2. ჭარი; 3. შეპიაკი; 4. ეპიფორა: 6. პეტრიაშვილი; 8. ალდარბიეკი: 11. „ელეგია“: 12. კობალა: 15. გოლი: 16. „არგო“: 17. კეტოკი: 20. ქალიეკი: 23. აელი; 24. ბუშე: 26. ორგან: 27. შკაიერი: 28. გიორგაძე: 29. განდი: 31. ალბა; 34. აკოფა. 35. ბიჭუნა: 36. ვარძია. 38. ჩალხა: 40. რუხიხი.

მთავარი რედაქტორის მოადგილე
გელა ებანოიძე

რედაქციის მისამართი:
თბილისი, თავისუფლების მოედანი, პუშკინის ქ. 5
ბაზეთის ინდექსი 66447
ფასი 50 თეთრი

ტელეფონები:
რედაქტორი:
93-20-36,
პასუხისმგებელი მდივანი:
93-18-41